

საქართველო

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №60 (1690) 6 - 12 ოქტომბერი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი



გაფუჭებული გელუფონის პრინციპი, ანუ... აბაშიძე პირჯვარს ინერს

მე-2 გვერდი

ჩვენ უკანას და ინას გატანჯული
და ამაყი საქართველო დგას, ანუ
ახლა 37 კი არა, 98 ნელია,
გატონო არგაზ!
მე-2 გვერდი




საზველი სად არის?

მე-2 გვერდი




არის თუ არა
დემოკრაფია
პოლიტიკური
საკითხი?
მე-3
გვერდი





პოლიტიკა
სივარტლას
სიხრუით ვერ
დაამტკიცებ
მე-11 გვერდი



საინფორმაციო სისტემების
საინფორმაციო სისტემების



კვლევათა ანტიკონსტიტუციური რეპროდუქციები უფუნქციო
სტრუქტურა, მასწავლებლები კი შიშველი...
მე-3 გვერდი



ქართული მუსიკური ხელისუფლებას
ინტელექტს სთავაზობს. პრეზიდენტი
და სახელმწიფო მინისტრი
კი სდუმან
მე-8 გვერდი

გულაბარ კლარჯი
სომხეთის
„ახალქალაქის“
თაობაზე
მე-7 გვერდი



მე-10 გვერდი

გაუჩივარი გლეხონი პრინციპი, ანუ... აბაშიძე პირჯვარს იწერს

ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ ქართულ პრესაში ძალიან ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. თუმცა სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები ამ ფაქტს მანამდე უარყოფდნენ, სანამ ამის შესახებ თვით ხელისუფლების მაღალი ემპლონების წარმომადგენლები არ ალაპარაკდნენ არა კულუარებში, არამედ ლიად, საჯაროდ. ქართული მასმედია კი, ბათუმის დელეგაციის ვიზიტს სხვადასხვა ინტერპრეტაციით უდგება და სხვადასხვა ასპექტებში განიხილავს.

იბადება კითხვა — რა მიზანს ემსახურებოდა ოცუ აცინი წარმომადგენლობითი დელეგაციის სტუმრობა და თანაც ასეთი მაღალი თანამდებობის პირებისა? — ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას თუ ამ უკანასკნელისათვის უფრო ფართო მასშტაბების მიცემასა და საერთო დესტაბილიზაციის წარმოშობას.

ფაქტი ერთია, ვიზიტი უშედეგო, ხოლო მიზანი მიუღწეველი დარჩა. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს თითქოსდა აშკარად შეიშინა ჩრდო-



ლოეთისა და დასავლეთის ინტერესთა დაპირისპირება, თითქოსდა მასობრივი არეულობების ინსპირირების მცდელობა, შეხვედრები აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს იერარქებთან, საიდანაც ზოგი კმაყოფილი

და სახეგაბრწყინებული გამოდის, ზოგიც საკმაოდ ნიწნამხდარი და აგრესიულად განწყობილი. საბოლოოდ კი უაზრო ვოიაჟები რჩება, შედეგი კი — არაფრის-მომცემი.

ქვეყანაში შიდაპოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვას ცენტრალური ხელისუფლება ნაეთობსადენის მშენებლობის დასრულებით გამოწვეულ მავანთა და მავანთა განწყობებს, დაუძვინჯებ დაუძვინჯებ შიშს მიაწერს, ბათუმი კი ცენტრალური ხელისუფლების არასწორ რეგიონალურ პოლიტიკასა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისადმი გულგროვ დამოკიდებულებას. მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა კი ამას წინასწარჩვენი ბატალეობად თვლის და მიაჩნია, რომ აბაშიძე და შეგარდნაძე ერთი და იმავე სცენარში სხვადასხვა მოქმედ პერსონაჟებს წარმოადგენენ. მეორენი თვლიან, რომ „ბატარის

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ჩვენ უკანას და წინას ბატონული და აბაში საქართველო დგას, ანუ ახლა 37 კი არა, 98 წელია, ბატონო არაბაზ!

გაზეთ "საქართველოში" (№57, 15-21 სექტემბერი, 1998) დაიბეჭდა ჩვენი წერილი "ჯავახეთში სომხებმა წითელი ბარათი გვიჩვენეს; ჩვენი კი ისევ სირაქლელობანას ვთამაშობთ", რომელსაც "საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის მძაფრი გამომხატურება მოჰყვა ("საქ.რეს.", № 240, 18 სექტემბერი, 1998).

ბ-ნ არმაზ სანბლიძის ამ წერილის საპასუხოდ თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ "საქართველოში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი არც ერთ პარტიას და ოპოზიციურ დაჯგუფებას არ ეკუთვნის და მის უკან არც ერთი ძალა არ დგას, გარდა დღევანდელი გატანჯული საქართველოსი, რომლის უფარგის ყოფასა თუ ოპოზიციის არაფერი ღვაწლი მას არ მიუძღვის.

გაზეთი "საქართველო" თავის თავს ალბათ თვითონ დაიცავს, ხოლო მისი წერილის ავტორი კი თვითონ შეეცდება პატივცემული ოპონენტისმიერი ცილისწამებათა უღრანოდან როგორმე გამოიყვანოს თავი, რადგან ისეთი მთავებდღება იქნება, რომ ჩვენი მთავარი გაზეთის მთავარი რედაქტორი ან საერთოდ არ ეცნობა სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალას, ან კიდევ იმას ეცნობა, რაც თვითონ "ან-ყოზს" და იმასაც ზერეუდ, თვალის ერთი გადავლებით, ან კიდევ, ვიღაცის შეკვეთით თუ დაკვეთით.

თავიდანვე იმასაც ვიტყვით, რომ ბ-ნ ა. სანბლიძის წერილის ყოველი აბზაცი მართლაც რომ აბსურდის კლასიკური ნიმუშს წარმოადგენს და შეცდომებითაც სავსე. ამიტომ მათ განხილვას ჩვენი მთავარი გაზეთის ორი-სამი ნომერიც არ ეყოფოდა, რითაც, რასაკვირველია, არავინ გამანებებდნენ, რის გამოც ძირითადად მინდა შეგვიჩვენე.

რაკი ქვეყნის გასაჭირსა და სატიკვარზე ვწერ, ამიტომ ბ-ნ არმაზს უკმაყოფილო, რომ ეს მაინცა და მაინც ხელისუფლების მტრობა და მიკვირებს — გინდა თუ არა, ოპოზიციონერი ხარო. სამწუხაროა, რომ ჩვენი, ჯერ კიდევ, ვერც ერთ დონეზე ვერ გავიგეთ, რომ ნორმალური პოზიციონერ-ოპოზიციონერი ყველა ნორმალურ ქვეყანაშია მიღებული და არა ისეთი, ჩვენში რომ იყო 91-92 წლებში, რასაც ბ-ნ ა. სანბლიძის წერილიც მოწმობს.

ბატონო არმაზ! რაკი მაინცდამაინც გინდათ ოპოზიციონერად მკაცრობა და ჩამთვალთ (რასაკვირველია, ცუდი გაგებით), ამიტომ მინდა გაგახსენოთ, რომ ოპოზიციის ანტიონიმი პოზიციისა და თქვენი წართაული სათაუ-

რიც, სხვათაშორის, სხვადასხვა გაზეთებში სხვანაირად არის ხოლმე ჩამოყალიბებული. ისე კი, გულზე ხელის დადებით ერთხელ კიდევ შემოძლია დავადასტურო, რომ არც დღევანდელ ყოფასა და არც მის ოპოზიციისაში (როგორცადაც არ გინდათ შეაფასოთ ისინი), ამ წერილის ავტორს იოტის ოდენი ბრალიც არ მიუძღვის. ამიტომ ძალიან ვწუხვარ, რომ მისამართიც შევუშალათ და ქორონიკონიც აგერათ.

ბატონო არმაზ! სიმართლე გითხრათ, დიმილი მომგვარა თქვენმა მსჯელობამ, თქვენი სიტყვები რომ ვიხმაროთ — "ფანტასტიკურმა კომედიამ ბავშვებისათვის", რომელიც დსთ-სა და ეუთო-ს ეხება. ასეთი გულუბრყვილობა მართლაც არ ეკადრება მთავარი გაზეთის მთავარ რედაქტორს.

თქვენზე და ჩემზე უფრო დიდმა პოლიტიკოსებმა და საქმეში ჩახედულებმა უდღეური და გაუმართლებელი პოლიტიკური წარმონაქმნი უწოდეს იმ ჩვენს დსთ-ს და ჩვენც როდემდე უნდა ვყოფი ასეთი გულუბრყვილონი და მოიმედენი?!

ისეთი გულმოდგინებით მიკითხავთ ნოტაციას ამ ორგანიზაციების შესახებ, თითქოს პოლიტიკოლოგიის პირველ კურსელზე თან ატარებდეთ ლექციას, თითქოს თქვენი მონა-მორჩილი ახალი ჩამოფრენილი იყოს მარსიდან და თქვენ ამ ორგანიზაციების მიერ კონფლიქტებშიაქრობილ მოწესრიგებულ მსოფლიოს ახვედრებდეთ; ან კიდევ "საქართველოს" ავტორისათვის უცხო იყოს ამ ორგანიზაციების წარმატებულ წარუმატებლობანი. მართლაც "ვაი, ჩვენი ბრალი, რომ ასეთ ელემენტარულ საკითხებზე წერა გვიხდება" (ეს თქვენი სიტყვებია).

როცა ჩვენი ოპონენტის წერილს წაიკითხავდა, ჩვენი მკითხველი მართლაც გაიცინებდა თუ მსოფლიოს ყველაზე დიდი პოლიტიკური ორგანიზაციის — გაეროს მიერ "შინჯერებულ" კვიპროსის კონფლიქტს გაიხსენებდა.

ნათქვამია, თუ გინდა ადამიანს ყველაზე დიდი უფურაცხყოფა მიყენო, ისეთი რამ დასწამე, რაც მისი ზუნების და საქმიანობის საწინააღმდეგოა. ასე იქცევა ჩვენი ოპონენტები.

გონია რა, რომ ვიღაცის დავალებას ვასრულებთ და ვიღაც გვიდგას ზურგს უკან, პატივცემული ოპონენტი გაუგონარ ცილისწამებაზე გადადის — თითქოს ბიძნა თავაქს სიგაყმდე ახარებს დღევანდელი დაქუცმაცებული საქართველო, გამათხოვრებული ხალხი, გაღატაკებუ-

ლი ქვეყანა, დაკარგული ტერიტორიები და ა.შ. ამასთან, თურმე "საქართველოს" ავტორი არც პრესას კითხულობს, არც რადიოს უსმენს, არც ტელევიზიას უყურებს და აი, ასე — ზის ჭურში და იბოღმება თურმე.

ამაზე იტყვიან, ჩემი შენ გითხარიო... ამიტომ დსთ-ეუთო-ს თემაზე პოლიტიკას შევწყვეტთ და ბატონო ოპონენტს ვთხოვთ იქნებ როგორმე დაიმდაბლოს თავი, პატივი დაგვდოს და ჩვენს მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს როგორმე გაეცნოს, იქნებ მაშინ დარწმუნდეს, ვის რა უხარია. ისე კი, დროა თავი დაეანებოთ შვი კატის ჭებნას იქ, სადაც არასოდეს ყოფილა.

სხვათა შორის, ასევე გამოიცა და მწარე დიმილიც კი მომგვარა ბ-ნი ოპონენტის ინფორმაციამ ბ-ნ ლუდვიგ ჩიბიროვთან გულწრფელი სატელეფონო საუბრის შესახებ.

მთავარი გაზეთის მთავარი რედაქტორი და მისი რედაქციაც უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ სხვა საინფორმაციო საშუალებებს და მაშინ გულწრფელი თუ არაგულწრფელი სატელეფონო საუბრები აღარ დასჭირდებოდათ მაღალჩინოსნებთან, პირდაპირ ის გაზეთი ეტყვი, თუ საიდან მოიპოვა ესა თუ ის ინფორმაცია. ასეთი ანაბანას შეხსენება ნამდვილად არ უნდა სჭირდებოდეს რომელიმე მთავარ რედაქტორს.

რა უფლება მაქვს ეჭვი შევიტანო ბ-ნ ლ. ჩიბიროვის გულწრფელობაში ჩემი ოპონენტის მიმართ, მაგრამ გულმაგინებია, მიამიტომ და სიბიზლის მოდუნება ნამდვილად არავის ეპატიება დღევანდელ საქართველოში. როგორც ჩანს, ბ-ნ არმაზს სანბლიძეს გულწრფელობად დაავიწყდა ვლადისლავ არძინბას "გულწრფელი" სატელეფონო საუბარი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან 1992 წელს და რაც მოჰყვა შემდგომ ამ "გულწრფელობას". ისიც დაავიწყდა, თუ როგორ "გულწრფელად" მოაწერა არძინბამ ხელი მძიმე ტენიკის გაყვან-გამოყვანას და ასევე "გულწრფელად" როგორ დაადუღა სოხუმი და ა.შ. აქ შექსპირს დავესესხები — "გულმაგინებია, დედაკაცი უნდა გერქვას შენ".

ბატონო ოპონენტი სანამ სხვა არულს დამწამებდეს აფხაზეთის დაკარგვის გამო, მანამ დავასწრებ და, მეტი რა ჩარა მაქვს, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე, ვთხოვ იქნებ როგორმე წაეკითხა ჩვენი წერილების სერია "გოდება

(გაგრძელება მე-4 გვ.)

გამოსაზრება საშველი სად არის?

კონცეპტუალურად, პრინციპულად თუ ვიტყვით, პასუხი ადვილი გასაცემია — "საქართველო, უპირველეს ყოვლისა" უნდა გავიხადოთ ჩვენი ფიქრისა და ქმედების ყოველდღიურ საქმედ და გვეშველება.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ როდესაც 1992 წლის აპრილში ეს მოწოდება ხალხს შესთავაზა საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგამ გაზეთ "იბერია-სექტორში" გამოქვეყნებული და სხვადასხვა დაწესებულებაში, ხალხში გაფრთხილებული კითხვარის საშუალებით, ჩემს მიერ მიღებული ათასობით პასუხში (რასაც ამჟამადაც სასოებით ვინახავ), მხოლოდ ორმა თუ სამმა უპასუხა უარყოფითად — დემოკრატია პიროვნების მხარდამჭერია უპირველეს ყოვლისაო. მათ დაავიწყდათ, უფრო მეტად, გამოჩნათ, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესრიგის გარეშე, ქვეყანაში პიროვნებასა და საზოგადოებას შორის პარამონის გარეშე, თვით პიროვნებაც თავს ნორმალურად ვერ იგრძნობს. ამისი მა-

და ირაკლი წერეთლის მიერ გაზეთ "საქართველოში" (22-28 სექტემბერი, 1998 წ.) გამოქვეყნებული წერილების გამო, რამეთუ მასში კარგად აისახა სურვილი და დამოკიდებულება იმ სერიოზული საკითხისადმი, რასაც ეროვნული ძალების გაერთიანება შეეძლო საქართველოს ასლო თუ უფრო შორეული მომავლისათვის.

ბატონ აკაკის მიაჩნია, რომ "ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება" ნაკლებად სარწმუნოა ("არ მჯერა"-ო), მით უფრო, თუ ისტორიას მოვიშველიებთ. მე არც ისტორიას არ მოვიშველიებ და არც დავას არ დავინყებ (სხვას რომ თავი დაეანებოთ, ეს ჩემგან დიდ დროს მოითხოვს, დრო კი არ ითმენს), მაგრამ მინდა პირდაპირ ვთქვა — დღევანდელი ხელისუფლება, მოუხედავად არჩევნების ფალსიფიცირებისა, 40%-იან ზღვარს ვერ გადაცდა და, ამდენად, უმცირესობის ხელისუფლებაა, შემდეგ, პარლამენტში, უმრავლესობად მოვლენილი. წარმოვიდგინოთ, რა დიდი პოტენციალი იმ ძალის



გალითები, საქართველოში, საქმე-ბარი, სამწუხაროდ, არა გვაქვს.

"საქართველო, უპირველეს ყოვლისა" იყო საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტიისა (ის შეიქმნა საარჩევნოდ საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ლიგის მიერ) და საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის (მათ ოდნავ შეუცვალეს სახე — "საქართველო, უწინარეს ყოვლისა") საარჩევნო მოწოდება 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში, სადაც ამ პარტიებმა მხარდაჭერა პოვეს. არ შეიძლება დღეს არა თუ ქართველმა საქართველოს ნებისმიერი ეროვნების მოქალაქემ არ იცოდეს, რომ თუ საქართველოს ვერ ვუშველეთ ყველამ ერთად, არ ეშველება არც ერთ მათგანს, პიროვნულადაც ამის გაცნობიერება გზაზე დააყენებდა აფხაზეთის, ყოფილი "სამხრეთისეთის" თუ ჯავახეთის მოსახლეობასაც, რისი გაკეთებაც ეროვნული მოძრაობის უპირველეს ამოცანად მიაჩნია, რა თქმა უნდა, სხვა საკითხებთან ერთად.

"საქართველო, უპირველეს ყოვლისა" თავის სამოქმედო და საბრძოლო მოწოდებად გაიხადა "თეთრმა ლეგიონმაც", აფხაზეთის ტყეებს შეფარებული რომ იბრძოლა გალის მოვლენებამდე თავდაუზოგავად, სანამ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ტერიტორიებისა და ბანდიტების სახელით არ მონათლა არძინბასთან ერთად და 5-7 წლით თავისუფლების აღკვეთით არ დაეპუტრა.

რადგან მოწოდება — "საქართველო, უპირველეს ყოვლისა" იქცა ათასობითა და ათიათასობით ქართველის თუ არაქართველის მოქმედებისა და ბრძოლის წარმართული მოწოდებად, რადგან დღევანდელი ხელისუფლება მას არ იზიარებს, ვაქციოთ ის ყოველდღიურ იდეოლოგიურ ლოზუნგად და ვცადოთ ხალხს დარაზნვა მის განსაზოგოვებლად.

სანამ ჩვენი საშველის დანარჩენ მხარეზე გადავიდოდე, არ შემიძლია ჩემი აღფრთოვანება არ გამოხატო ბატონების აკაკი ბაქრაძის

მხარეს (მით უფრო დღეს, არჩევნებიდან სამი წლის თავზე), რასაც ეროვნულ-დემოკრატიული ძალა შეეცა, თუ ის მიიმართა ერისა და ქვეყნის სასარგებლოდ.

ვფიქრობ, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დღეს ხალხს თავის გადარჩენის პრობლემა უდგას და მოძრაობისათვის, თუნდაც ეროვნულ-სოციალისტურ, ნაკლებად სცალია თვით ეს მოძრაობა ვაქციოთ მათი დასაქმებისა და გამოკვების საშუალებად, უპირველეს ყოვლისა, და ქვეყნისა და ერის საქმე ყოველი პატრიოტის გადარჩენის საქმედ ვაქციოთ.

როგორც, იკითხავს მკითხველი, აი, როგორ!

ყველა, ოპოზიციურს რომ უწოდებს თავს (პარლამენტში ის თუ არა) და პარტიად ყოფნაზე პრეტენზია აქვს, იმ პარტიათა ხელმძღვანელები უნდა შეიკრიბონ და გამოიქვან თვითონი მთავრება, მზად არიან თუ არა, რომ თავი ანიოთ საკაცხლედ და პარტიის საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრივ-ეროვნულ გამთლიანებას შესწირონ პირველ რიგში. ვინც თანახმაა და მზადყოფნას გამოთქვამს, მათგან უნდა შეიქმნას თუნდაც საარჩევნო ბლოკად გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირთი და ასევე, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტში ასარჩევ კანდიდატთა სია. ეს შესაძლებელია, თუ გაუთვალისწინებთ, რომ ამ ბლოკს მხარეზე მეტნაკლებად დგას მომავალში უფრო მეტად დადგება 60%-ზე მეტი ამომრჩეველი, რის გამოც სიაში პირველ-მეორეობას, თუნდაც ორმოცდამეათეობა-სამოცდამეათეობა, არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს (ყველას ექნება პარლამენტში მოხედვის შანსი), ხოლო სიაში თანმიმდევრობის კრიტერიუმის დადგენა, ვფიქრობ, არ გაჭირდება (ამასთან, უკან საქართველო დგას და შევლას ითხოვს, წინა პლანზე წამოწვას). ამას უნდა მოჰყვეს შესაბამისი ორგანიზებისა და საარჩევნო ინფრასტრუქტურის და-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

არის თუ არა დემოკრაფია პოლიტიკური საკითხი?

გასული თვის დასაწყისში სატელევიზიო პროგრამა „ალიონში“ მოსახლეობის აღწერის შესახებ იყო სიუჟეტი, კერძოდ, მოგვანოდეს ინფორმაცია, რომ 1999 წელს საქართველოში მოსახლეობის აღწერის ჩატარებაა გადაწყვეტილი, ხოლო სანამ ზუსტ ინფორმაციას არ ველოთ, მანამ არაპროფესიული მსჯელობა დემოგრაფიულ საკითხებზე მიუღებელია. ამ საკითხის გარშემო, როგორც უზრუნველყოფის განყოფილება, განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა ბატონი ანზორ თოთაძემ, რომელიც ჩემთვის ცნობილია ეროვნული მნიშვნელობის წიგნით „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი“. ბატონი ანზორს გაუკრტიკებია ჩს ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოდან მილიონი კაცია წასული უცხოეთში სამუშაოს საძებნელად. ამ ციფრს, პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებენ ხელისუფლების საინფორმაციო ცენტრები. ისიც უთქვამს ბატონი ანზორს, რა არის იმის ცუდი, თუკი ქართველი კაცი უცხოეთში სამუშაოდ წავაო. ასე რომ, პოლიტიკას ნუ რევეთ დემოგრაფიულ საკითხებში. სიმართლე გითხრათ, ბატონი ანზორ თოთაძისგან არის ბევრად სანაყენ ამგვარი ულოგიკო აზრები, თორემ ვინმე მოქავეშირდებოდა რომ ამგვარად ექადაგა, არც გავგოცდებოდი და არც გული დამწყდებოდა.

პირველ ყოვლისა იმის შესახებ, არის თუ არა ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემები პოლიტიკური საკითხი. თავად ბატონი ანზორი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ერთ დროს პოლიტიკურად და ეკონომიკურად უდიერესი საქართველო სახელმწიფო ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების რიგებს მიეკუთვნებოდა. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ენერჯია თანდათანობით ილეოდა გარემოში მტრებთან გაუმდებელ ბრძოლებში, რასაც საბოლოოდ მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ამდენად ეროვნული თვითმყოფადობის დაკვიცის გრძობის დაქვეითებაც

მოჰყვა. ქართველ კაცს მოესპო საშუალება თავისი ქვეყნის განვითარების პრობლემებზე თავადვე ეზრუნა, თავისი ეროვნული პრობლემები გადაეწყვიტა.“ მასხადამე, როცა საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი იყო, ე. ი. როცა მას გონიერი და აღმშენებელი მეფეები ყავდა, მაშინ ქართველობაც მომრავლებული იყო და ტერიტორიებსაც ინარჩუნებდა. ე. ი. დემოგრაფიული საკითხი სწორედ რომ პოლიტიკის სფეროს ეჭება და ამიტომაც პოლიტიკური მსჯელობის საგანია. დღეს, როცა ტერიტორიები დაკვირვებით, მილიონი ქართველი საქართველოში შიმშილით



სიკვიდის ამჯობინებს საზღვარგარეთ გაქცევას, ნუთუ ეს ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგი არ არის?

ბატონი ანზორი თავისი წიგნში აღნიშნავს, რომ 1992 წელს თბილისში 3051 ბავშვით ნაკლები დაიბადა, ვიდრე წინა 1991 წელს, ასევე ყოველ ათას კაცზე 7,4 კაცი გარდაიცვალა, ნაცვლად 8,4 კაცისა 1991 წელს.

1992 წლის მერე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უფრო გაუარესებისკენ მიდის, ესე იგი, მასზე დამოკიდებული შობადობაც უფრო და უფრო უბუნობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დემოგრაფიული კატასტროფასთან გვაქვს საქმე და ამ დროს იმის თქმა, პოლიტიკას ნუ რევეთ დემოგრაფიისათვის, ცოტა არ იყოს, სამარცხინო განცხადებაა და მხოლოდ ხელისუფლებისადმი მლაქველური დამოკიდებულების გამჟღავნებას წარმოადგენს.

ბატონი ანზორის წიგნში მითითებულია, რომ 1989 წელს დაბადებულ ბავშვთა მთელ რაოდენ-

ობაში ქართველი მხოლოდ 66,9 პროცენტს იყო. თუ ბოლოდროინდელ საგალალო სტატისტიკურ პროგნოზებს გავითვალისწინებთ, უცხო-ტომელ ახალშობილთა რაოდენობა პროცენტულად შესაძლოა აჭარბებდეს კიდევ ქართველ ახალშობილებს. ამას კი უახლოეს ხანში, არა მარტო აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ჯავახეთის დაკარგვა მოჰყვებს, არამედ სხვა კუთხეებისაც და საბოლოო ჯამში მთელი საქართველოს დემოგრაფიული ექსანსიაც. ამ სიტუაციაში განგაშის ზარების შემოკრა გემართებს და არა პრობლემის მიქმალვა ხელისუფალთა საამებლად.

რაც შეეხება მილიონი ქართველის საზღვარგარეთ სამუშაოდ გაქცევის დადებითად შეფასებას, ეს ყოველად უკუღმართული აზრია და კრიტიკას ვერ უძლებს. მოსახლეობის მშობლიური ქვეყნიდან მასობრივ ემიგრაცია შეიძლება გამართლებულ იქნას ერთ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ტერიტორიაზე იმდენად ჭარბი მოსახლეობა წარმოიშობა, რომ ძნელდება მისი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის უზრუნველყოფა. მაგრამ თუ ცივილიზებული ევროპის ქვეყანაში მოლანდია სულ რაღაც 34 ათას 33 კმ. ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ცხოვრების უმაღლეს დონეს თავისი 17 მილიონიანი მოსახლეობისათვის, სუთმილიონიანი ქართველი ხალხს შევარდნაძის ხელისუფლებამდე შემორჩენილ თავის 70 ათას 33 კმ-ზე რატომ უნდა გასჭირვებოდა ისე, რომ უცხოეთში გადახვეწილიყო? ვითომ მოლანდიაზე და თუნდაც ნებისმიერ სხვა ქვეყანაზე ნაკლები მინა-წყალი გაგვანია ჰავით, ნიაღვრულით ან ქართველობა ვართ გონებრივად სხვა ერზე დამცრობილი?

თავი და თავი, ჩვენი ერის უბედურებისა, დიახაც რომ მისი ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკური კურსისა და საქართველოში არაფერი უშედეგოა სანამ ეს კურსი და მისი გამტარებელი ხალხი არ შეიცვლება. ამას მიქმალვა კი არა, ყველგან და ყოველთვის ხმაშალა თქმა სჭირდება.

გია თვალაშაძე

პლაგიატი აბსტრაქციის ჩამბრუნება უფუნაბაში სსოპრობან. გასწავლება კი უიოპრობან...

ღია წერილი

საბარტელოს პრეზიდენტს, ბატონ ივანე ბერიძეს, საბარტელოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზ. შვინას, პარლამენტარებს, განათლების მინისტრს, ბატონ ბ. პარტოჯიას

ბატონი პრეზიდენტო, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ტელევიზიით ენახეთ და მოვიხილოთ თქვენი გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე. თქვენ გამოსვლაში აღნიშნული იყო, რომ განათლების სისტემის რეფორმის I და II საფეხური მტკიცე ნულად, მაგრამ სწორად ჩატარდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება და წარმოადგენს თქვენი ინფორმაციის მცდელობას, შეცდომაში შეგიყვანონ არა მარტო თქვენ, არამედ მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი. ამ გარემოებამ გვიბიძგა დაგვეწერა ეს ბარათი.

საქართველოს განათლების მინისტროს დავალებით (თუ გარეგნობა შედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რე-სტრუქტურა ინ-სტიტუტმა (დირექტორი გ. მურულულია) გამოსცა საატესტაციო დე-ბულება და ტესტების კრებული ცალკეულ საგნებში მასწავლებელთა გამოცდებისათვის, რომელშიც არ არის დატული ტესტების შედეგის ტექნიკა და მეთოდო-კა. ტესტები ნათარგმნი იყო უცხოური ტექსტებიდან. მითითებული იყო უამრავი შეცდომა და გადატვირთული იყო არაპროგრამული მასალით, აპრობაცია არ გაუვლია, ისინი დამტკიცებული არ იყო შესაბამის საგნების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ. ტესტებში ძირითად ყურადღება გამახვილებული იყო მესხურებზე (გვახსოვს თუ არა ესა თუ ის ფაქტი) და არა ინტელექტუალურ ლოგიკურ აზროვნებაზე. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, თუ მასწავლებელმა მთელი პროგრამული თუ ფაქტობრივი მასალა ტესტირების მომენტისათვის უნდა იცოდეს და ახსოვდეს, მაშინ რაღა საჭიროა თითოეული გაკვეთილისათვის მომზადება სახელმძღვანელო ან დამხმარე ლიტერატურა?

შემოთავაზებული ტესტების შედაგოგთა კატეგორიზაცია დაყოფა და ხელფასების დანიშვნა სწორი და მიზანშეწონილი არ არის, რადგან ტესტების შედეგის მოდელი დასამუშავებელია, მას კარგი, სრულყოფილი აპრობაცია სჭირდება, მრავალ სკოლაში, გამოცდილი შედაგოგების და მეთოდისტების მონაწილეობით. იმ პირობით, რომ ჩვენი შედაგოგების სოციალური მდგომარეობა სანახევროდ მაინც მიუხედავად იმ ქვეყნების შედაგოგთა სოციალური მდგომარეობას, სადაც ატესტაცია ტესტირებით ხდება, რადგან ამის გარანტია ვერცხვობით არ არსებობს, მშვიერ-მწყურვალე მასწავლებლის ტესტირება მიზანშეწონილია, უზნობაა და ცინიზმა. გარდა ამისა, უნდა გაუფრთხილდეთ დიპლომის გამცემი სახელმწიფო უნივერსიტეტის, შედაგოგიური უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების გადამწყვეტილებებს და პროფესორ-მასწავლებელთა ავტორიტეტს.

საატესტაციო დებულება უპირატესობას აძლევს არა საშუალო განათლების მქონე მოქალაქეებს, არამედ არასპეციალისტებს (რომლებსაც შედაგოგთა და ფსიქოლოგთა არ უსწავლიათ) მათ მოუწოდებენ, გაიარეთ ერთთვიანი ფასიანი კურსები ჩვენს ინსტიტუტებში და თქვენგან სრულყოფილი შედაგოგი ჩამოყალიბდებოდა. მაშ რაღა საჭიროა უმაღლესი განათლება და 4-5 წლიანდ ტვინი ჩქელტა, თუ მათი მომზადება 1 თვეშია შესაძლებელი. იყიდებოდა ტესტების კრებული 5-7 ლარად. კურსები და კონსულტაციები ფასიანი იყო. თითოეული საგანში მათ მიერ მითითებული 20 დასახელების ლიტერატურას 100 ლარი სჭირდებოდა (მასწავლებლის ხელფასი 15-20 ლარი). გამოცდაზე გასვლა ფასიანი იყო. შემაჯამებელ ატესტაციაზე თბილისში ჩამოსვლა საკუთარი სახსრებით უნდა მომხდარიყო. შემდეგ ყველაფერი უფასო

გახადეს, დებულების მრავალი მუსლი და ტესტირების ვადები რამოდენიმეჯერ შეცვალეს. ტესტირება დღესაც არაა დამთავრებული და გრძელდება. ყოველივე ეს მოხდა იძულებით მრავალი კონტრული გამოსვლის შემდეგ. მთლიანად ატესტაციის და ტესტირების შეჩერება ვერ გაბედეს, რადგანაც მაშინ დაისმებოდა კითხვა, სად წავიდა ატესტაციის მომზადებისა და ორგანიზაციისათვის გამოყოფილი ასი ათასობით ლარი? რა არის ეს, თუ არა ბიზნესის არაცივილიზებული ფორმა ანუ პირველყოფილი „ველური ბიზნესი“ და კორუფცია. ფაქტიურად ატესტაცია გაიარა შედაგოგების არა 60%, არამედ 33%.

ეს რაოდენობაც მიიზიდეს პირობით, ოღონდ გამოცხადებით ტესტირებაზე და ყოველგვარი (შედავაითანი) პრობლემა იქნებოდა, რამაც საშუალება მისცა ტესტირებაზე გასვლა მასწავლებელთა უმრავლესობას მიეღო ქულათა მაქსიმუმი. ამის გამო გაიცა მითითებები, რათა ყოველი ღონისძიებით შეშალათ ხელი უმაღლესი კატეგორიის მაძიებელ შედაგოგთა რიცხვის შემცირებისათვის, რაც საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ უმაღლესი კატეგორია პროცენტულად უფრო მეტმა მასწავლებელმა მიიღო, ვიდრე წინათ ჩატარებული ატესტაციის დროს. ამის მაგალითია ის სკოლა, სადაც 13 მასწავლებელია, რომელთაგან ატესტაციის ტესტირება გაიარა 7 შედაგოგმა, რომელთაგან უმაღლესი კატეგორია დაიმსახურა 4-მა, ხოლო პირველი — 3-მა.

ბატონი კვაჭანტირაძეს და ატესტაციის ტესტირების ავტორებს ვუკითხვით, გაუფრთხილდა თუ არა სწავლა-აღზრდის საქმე ატესტაციაზე დახარჯული და დახასრავი თანხების ადეკვატურად შეიძლება ამ კითხვაზე დადებითად ვიცნაუსონ, მაგრამ ჩვენ სომ კარგად ვიცით, რომ ეს ასე არ არის და ატესტაციაზე მასწავლებელთა მიერ დახარჯული შრომა „სიზოფს შრომის“ ტოლფასია.

ბატონი პრეზიდენტო ხომ არ აჯობებდა ატესტაციაზე უმზინოდ დახარჯული თანხა განათლების სამინისტროს დამხმარი შერჩობის აღდგენას, სახელმძღვანელოების გაიანჯებას, ან სკოლების სასწავლო-მეტრიკული ბაზის ნაწილობრივ რეაბილიტაციას მოხმარებოდა, ან, თუ გნებავთ, ის თანხა, რომელიც ატესტაციაზე დაიხარჯა, შეიძლება ყველა სკოლებისათვის ელექტროდენის გამომშენებელ მიკროპრავებს. „დღის გაზეთის“ რედაქციის მიერ ჩატარებული შედაგოგთა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ატესტაციის ჩატარების მიზანშეწონილობა მიზანშეწონილად ჩათვალა. ასეთივე აზრისაა შედაგოგიური მეცნიერებთა აკადემია, შედაგოგიის, ფსიქოლოგიის, კვლევი თი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლებლების კათედრები და სხვა. კოსოვოდულ-ერუსულ არაპროგრამულ საკითხებზე შევიბრების ჩატარება და გამარჯვებულთა გამოცენა-დაჯილდოება — ინტელექტუალის საქმე, ხოლო მასწავლებლებისათვის მთავარია, თუ როგორ ატარებს ის გაკვეთილს და რა ცოდნის, დონის მოსწავლეები ყავს. პარლამენტის დეპუტატებმა და პირველ რიგში განათლების კომისიის წევრებმა ძლიერ ცუდი სამსახური გაუწიეს შედაგოგებს და საერთოდ ქვეყნის განათლების სისტემას, როდესაც ნაქარვეად მიიღეს „საქართველოს კანონი განათლების შესახებ“, რომლის მრავალი დებულება გადამუშავებას და შეცვლას მოითხოვს.

განათლების მინისტრმა და კოლეგის წევრებმა, რამოდენიმე წლის წინათ პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს, როცა თანხობა მისცეს


ერთხელ კიდევ ფსევდო-დონისას საიდუმლოების შესახებ

თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მეცნიერული კვლევა-ძიება კითხვის წინაშე იდგა, თუ ვინ იმალეობდა და იმალის სახეობის მიღმა, არიშლაც V ს-ში დაწერილი ე.წ. არეობატიული წიგნების ავტორობა მიენერებოდა. ამ წიგნების მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია, ვინაიდან ისინი აძლევდნენ მიმართლებას ფილოსოფიურ აზროვნებას ანტიკურობიდან მთელ შუასაუკუნეებამდე.

როგორც ცნობილია, XX ს-ის 40-იან წლებში ამ კვლევა-ძიებაში ჩაერთო ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე, რომელმაც წამოაყენა დებულება, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ფილოსოფიური წიგნების ავტორი იყო პეტრე იბერი, მაიუმი ეპისკოპოსი. 1941 წელს ნუცუბიძემ მოსკოვში გამოაქვეყნა ნაშრომი „ფსევდო-დონისე არეობატილის საიდუმლოება“, რომელმაც მაშინვე დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენში მას გამოუჩნდნენ მხარდამჭერებიც, მაგრამ უფრო მეტი — მოკამათენი, რომელთა ერთი ნაწილი მის ამ მიგნებას პრობლემისადმი ეროვნული და პატრიოტიული მიდგომით ხსნიდა. საკითხის გატანა დასავლეთში იმ დროს შეუძლებელი იყო. მხოლოდ 1949 წელს ნუცუბიძის ნაშრომზე სომეხი მეცნიერის, აკად. მელიქსეთ-ბეგის მოკლე ინფორმაციის წყალობით „XX“ ს-ში დასავლეთის მეცნიერთათვის ცნობილი გახდა ნუცუბიძის ეს მოსაზრება. მალე მოვიდა მოულოდნელი ამბავი: ქართველი მეცნიერის ამ დებულებას ადასტურებდა ბელგიელი მეცნიერი აკად. ერნსტ ჰონიგმანი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი გზით მივიდა იმავე დასკვნამდე, რომ არეობატიული წიგნების ავტორი არის ქართველი. რასაკვირველია, ჰონიგმანს ვერ დაუვებარებლეთ ქართულ პატრიოტიზმს.

შ. ნუცუბიძისთვის ჰონიგმანის მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანი იყო. ამ დროს იგი მცირედ არის პოლიტიკურად რეპრესირებული:

გამოყვანილია აკადემიის შემადგენლობიდან, გარიცხულია უნივერსიტეტიდან, შერისხულია თავისი კოლეგებისგანაც. უცხოელი მეცნიერის თანდაგომამ ასეთ ვითარებაში ძალა შემატა და მან განაცხადა: გამოჩნდა ერთი კაცი მაინც, რომელსაც ჩემსავით სჯერა! მაგრამ ამ ორი მეცნიერის შეხვედრა ან რაიმე გზით დაკავშირება შეუძლებელი გახდა, რადგან მოკლენები ტრაგიკულად განვითარდა — ჰონიგმანი ბრუსელის ქუჩაში კატასტროფაში დაიღუპა. უსამსახუროდ დარჩენილი ნუცუბიძე განაგრძობ-



და ინტენსიურ მუშაობას აღნიშნულ პრობლემაზე. 1963 წელს, რეაბილიტაციის შემდეგ, მაგიდაზე დებს მონოგრაფიას, „პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მეცნიერება“.

საბჭოთა იდეოლოგიის მიერ შერისხული „გამოუხსნორებელი იდეალისტი“ ამადო ელის ფართო მხარდაჭერას. მისი შეძახილი კათედრიდან — „წიგნი ელის თავის რეცენზენტს“ დარჩა ხმად მალაღებლისა უდაბნოსა შიგან. სიცოცხლის დასასრულს მან მოწოდებით მიმართა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, აღენიშნათ პეტრე იბერის თხუთმეტსაუკუნოვანი იუბილე.

30 წელი გავიდა მას შემდეგ, ამ ხნის განმავლობაში არავითარი ახალი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ შემოსულა. ჩვენს სამეცნიერო წრეებში ზეპირად ვრცელდებოდა თვალსაზრისი, თითქოს ნუცუბი-

ძე-ჰონიგმანის თეორია არ გამართლდა და საერთოდ ეს საკითხი აღარაა აქტუალური. გადაწყვიტეთ ჩავსულიყავით ბელგიაში და ადგოვზე გაჭვლეულიყავით. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის რექტორატის, პარლამენტისა და განსაკუთრებით კავშირგაბმულობის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელების თანადგომით.

საქართველოს საელჩოში ბრიუსელში დიდი სურადლება გამოიჩინა და ყველანიარად შეგვინყო ხელი, რათა მოკლედ დროში შევხვედროდით ბიზანტიოლოგებს. შეხვედრა შედგა საუნივერსიტეტო ქალაქ ლუვენში. ბელგიელ ბიზანტიოლოგზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შ. ნუცუბიძის მონოგრაფიის გადაცემა. ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა კარლოს სტილიმა გვითხრა: ამ წიგნს ისხენიებენ, მაგრამ მე ვარ პირველი, ვისაც იგი ხელში უჭირავსო. გვთხოვა წარწერით გადაგვეცა უნივერსიტეტისათვის. საუბარში გაიკრია, რომ პრობლემის შესწავლა ახალ ფაზაშია შესული, რომ სულ ახლახან დასრულდა პარიზის კონფერენცია დონისე არეობატიული პრობლემატიკაზე, რომ არაერთი მეცნიერი მუშაობს ამ პრობლემაზე დიდი ინტერესით, იწერება ნაშრომები, რომელთა ავტორები ჰონიგმანს ეყრდნობიან ნუცუბიძის მოუხსენიებლად, ვინაიდან მის ნაშრომებს არეობატიკაზე ეწოპელი ბიზანტიისტიები არ იცნობენ. ბ-ნ კარლოს სტილის გადავციევი ყველა ჩვენს ხელთ არსებულ მასალა. პროფესორმა დაგვაკავშირა მიუნხენისა და ბუდაპეშტის ბიზანტიოლოგებთან, იქვე შეიქმნა საერთო აზრი, რომ აუცილებელია ნუცუბიძის ნაშრომის თარგმნა ინგლისურ ენაზე.

50 წელი მეტა გავიდა ამ საკითხზე შ. ნუცუბიძის პირველი (გაგრძელება მე-5 გვ.)

(გაგრძელება მე-5 გვ.)

ჩემს უკანას და წინას გატანჯული და ახალი საქართველო დგას, ანუ ახლა 37 კი არა, 98 წელია, ბატონო არმაზ!

(მე-2 გვერდიდან)

აფხაზეთზე, იმავე "საქართველოში". რადგან ვიცოდი, რომ მთავარი გაზეთის მთავარი რედაქტორი მათ არ გამოაქვეყნებდა, ამიტომ მივიტანე "საქართველოში", თორემ ისე რა მრჯიდა და კიდევ ამიტომაც, მისი გამოქვეყნებისათვის მადლობის მეტი რა მეტქმის.

ახლა მეორე, კიდევ უფრო კურორული პასაჟი — აგრძელებს ბ-ნი ოპონენტი (ჩემი სათქმელიც ესაა) და გასაოცარ ინსინუაციას მიმართავს — თითქოს ამ წერილის ავტორს უხაროდეს საინფორმაციო ომის წაგება.

საინფორმაციო თუ სხვა ომების წაგება რომ მიხაროდეს, როგორც ბ-ნი ოპონენტი მწამებს, რა მრჯიდა, მეც ავადგებოდი, ჩემს ძირითად საქმეს მივხედავდი და ამდენ ცილისწამებასაც არ დავიმსახურებდი.

არადა, სწორედ ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ ერთ-ერთი ინციტატორი (ქალბატონ ნათელა ფიფქაძისთან ერთად) იმის, რომ ინტერნეტისეული მასალები საქართველოს შესახებ ფართო მკითხველისათვის გაგვეცნო, რადგან მსოფლიოში საქართველოზე ინფორმაციას ძირითადად იღებენ სწორედ ინტერნეტის მიხედვით და არა გაზ.

"საქართველოს რესპუბლიკის" მიხედვით, რომელსაც, ძალიან გვეუჭვება, მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში კითხულობდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, მისი კითხვა დობის არეალი საქართველოშიც კი ხომ ვერა-ვაკითხა და ჩუღურეთ-დიდუბით შემოიფარგლება.

ინტერნეტში კი როგორი სავალალო მასალებით ეცნობა მსოფლიო საქართველოს, ეს კარგად ჩანს გაზ. "საქართველოში" გამოქვეყნებული წერილებიდან და ამან, პირველ რიგში, ჩვენი მთავარი გაზეთის მთავარი რედაქტორი უნდა შეაშფოთოს, თუ სადმე სამართალია.

ახლა, დე-იურედ აფხაზეთის აღიარების შესახებ. პატივცემული ოპონენტი წერს "ინტერნეტში გაშვებული მასალებით" კი, მაპატიეთ ანა-ბანას რომ ვამბობ, დე-იურედ აფხაზეთის აღიარება ბლობის აღიარება კი არა, მეზობლის საკუჭნაოს გასხვისებაც არ შეიძლება.

მართლაც, უმორჩილესად გთხოვთ, პატივცემულო მკითხველო, მეც მაპატიეთ, ამ ანა-ბანას რომ ვიმეორებ — ჩვენი მთავარი გაზეთის მთავარ რედაქტორმა ის თუ არ იცის, რომ ყველაზე მდიდარი და ძლიერი ისაა, ვისაც მეტი ინფორმაცია გააჩნია, მაშინ მართლა ნასულა ჩვენი საქმე და ეგაა სწორედ.

პატივცემულო მკითხველო, ერთხელ კიდევ გაისარჯე, როგორც წავიკითხე ჩვენი წერილი და თავად დარწმუნდებით, რომ თქვენს მონა-მორჩილს სახელმწიფოთა დე-ფაქტოდ არსებობისა და დე-იურედ აღიარების ასპექტები არც ისე ცუდად ესმის, მაგრამ აქ სულ სხვა რამეზე იყო ლაპარაკი, კერძოდ კი, აი რაზე — როცა სხვები ცდილობენ, რომ მსოფლიოს მიანობაში თავიანთი სასარგებლო ინფორმაცია (მათ შორის შენს შესახებაც), ხოლო შენი მთავარი გაზეთის მთავარ რედაქტორს (და არა მარტო მას), არ უნდაო, რომ ამაზე წარმოდგენა ჰქონდეთ, მაშინ შეიძლება ვინმე ან რამე ისე აღიაროს, რომ შენ ახლო მეზობლებისაგანაც კი არ დაგაინტერესოს მისმა გაგებამ.

თორემ რა ბედენაა, აფხაზეთის დე-იურედ აღიარებაზე აქცენტის გადატანა, მაშინ, როცა აფხაზი სეპარატისტები ყველაფერს აკეთებენ, რათა მსოფლიოს საინფორმაციო სფეროში დე-ფაქტოდ ყოფილი ჩაეგდოს და ეს არც ისე მეორეხარისხოვანია, მაგრამ

ჩვენს ოპონენტს არ უნდა ამის გაგება და რა ჩვენი ბრალია. ამიტომაც ნათქვამი, კარგ მთქმელს, კარგი გამგონიც უნდაო.

ახლა ორივე სიტყვა გამოთქმავს "ინტერნეტში გაშვებული მასალები" და სხვა ტერმინოლოგიურ "შტილზე".

ბატონო არმაზ! რამდენადაც ვიცით, თქვენ ერთ დროს რადიო-ტელევიზიაში მუშაობდით და თუ კი შეიძლება "ეთერში გასვლა", "ეთერში შესვლა" და "გამოსვლა" და ა.შ. (ალარ გავაგრძელებთ), ნუთუ მსგავსი რამ ინტერნეტის მიმართ ვერ არ გსმენიათ? ახლა ხომ კომპიუტერების ეპოქაში შევდივართ (ჩვენ შევდივართ, თორემ სხვები გამოსვლასაც აპირებენ).

"ყურთბალიშზე ტკბილად ძილზე" ბრძანებთ, იცით რა არის ყურთბალიშზე ტკბილად ძილი, ბატონო არმაზ? — როცა მთავარი გაზეთის მთავარი რედაქტორი, ოთხი წლის შემდეგ სხვა გაზეთებიდან იგებს, რომ ჩვენს გაზეთს ეწოდება "სომხური ყურთბალის საუკეთესო ჯიშისგან" დაუმზადებით და საზღვარგარეთ გაუტანათ სომხური (!) ღვინო "საფერავი". ამაზე უკეთესი ნიმუში ყურთბალიშზე ტკბილი ძილისა, ისიც ოფიციალურ დონეზე, ძნე-



ლი წარმოსადგენია. ცხონებული ლეონ (და არა ლევან) მელიქსეთ-ბეგის სიტყვები მოგვყავთ "ვის რა უნდა, ვის რა უნდაო!"...

თქვე დალოცვილო! თუ სომხებმა ჩვენი, ათეულ საუკუნოებით ნალოლიანები ვაზის გათავისება მოინდომეს და კიდევაც გააკეთეს საერთაშორისო მასშტაბით და ეს არა თუ არ გაკვირვებთ, არამედ 4 წლის შემდეგ ძლივს გაიგეთ სხვა გაზეთების წყალობით (ისიც არ ვიცი ვერ, გაიგეთ თუ არა და ცილს ტყუილად გნამებთ), რატომ გიკვირთ, რომ მე, როგორც ქართველმა, ჩემი სამშობლოს სატყველზე ხმა ამოვიღე და ოთხი დღეც არ მაცალეთ, ისე დამესხით თავს. არც კი მიცნობთ, ვინა ვარ და ყველა უბედურება, რაც საქართველოს დასტყდომია თავს 1921 წლის 25 თებერვლიდან დღემდე, ლამის მე დამაბრალაო.

გთოვთ ნაცისტად ან შოვინისტად მაინც ნუ მომნათლავთ, მაგრამ ნაციონალისტ-პატრიოტიზმის გაგებით — ნამდვილად გახლავართ და თეთრი შურით მშურს სომხებისა, რომელნიც, მთავარი რედაქტორებიდან დაწყებული და მეზობლებიდან დამთავრებული, არა თუ უვლიან და იცავენ საკუთარ ისტორიას და კულტურას, არამედ უპატრონოდ მიტოვებულთაც კი მზრუნველობენ და "პატრონობენ". ამის მაგალითია იგივე საფერავი, ხოლო თუ თქვენს რედაქციას ვერ არ გაუგია, დავაკონკრეტებ და გეტყვით, რომ, როგორც გაზ. "დროში" ცნობილი მწერალი ბ-ნი რეზო მიშველიძე წერდა — თურმე თურქეთში არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს სომხებმა ფირფიტები გაუკეთეს — სომხურაო.

აი, ბატონო არმაზ, რას ნიშნავს მელიქსეთ-ბეგის სიტყვები "ვის რა უნდა და ვის რა უნდაო", ე.ი. საქართველოს მთავარ გაზეთს ყურთბალიში უნდა, სომხ-

ებს კი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები და "საფერავი". ასეა, ეს, როგორც იცოდა დათა თუ-თაშხია.

სხვათაშორის, ვერ ვერც ერთ გაზეთში ვერ ამოვიკითხე, რომ სომხეთის მთავარი გაზეთის მთავარ რედაქტორმა სულ შავი დღე აყარა ამის გამოკეთებლებს — "ეს რა გქვინათ, ქართველებს ეწყინებათო". იქნებ, თქვენმა გაზეთმა მაინც იცოდეს რამე ამის შესახებ.

შემდეგ, ბ-ნი ოპონენტი აღნიშნავს, — "არ იცის, მაგალითად, ავტორმა, რა რეაქცია მოჰყვა სამცხე-ჯავახეთში ამასწინათ გათამაშებულ კლასიკურ პროვოკაციას ("შტილი" აქაც დაცულია, ბ.თ.).

ღმერთი, რჯული, "საქართველოში" გამოქვეყნებული წერილის ავტორმა ძალიან კარგად იცის ამ პროვოკაციის მთელი "ეპოპეა", გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებით, სწორედ იმან ატყინა გული, ააღებინა ხელში კალამი და თავისებური კუთხით მიუდგა ამ მტკივნეულ საკითხს. არა იმ კუთხით, რომლითაც, სამწუხაროდ, ოპონენტმა ბრალი დაგვანამა, არამედ სულ სხვა კუთხით, რომელიც ბ-ნი ა. სანებლიძემ ვერ ან არ დაინახა.

ამის შესახებ ცოტა ქვემოთ. მანამდე კი, ორივე სიტყვა "ნუზავისიანია გაზეთში" გამოქვეყნებულ ზატულინ-მიგრანიანის პუბლიკაციებზე, რომელთაც იმ დღეებში კვლავ შეგვახსენეს თავი და რომელთაც, ჩვენი ოპონენტი, ჩვეული სიდინჯით 2-3 წლის დაგვიანებით გამოემართება, ალბათ.

წერილის ავტორმა კარგად იცის "პრეზიდენტის მკაცრი რეაქციის შესახებაც" და სხვა "აქციების" განხორციელების შესახებაც, მაგრამ, როცა ზატულინი და მიგრანიანი ნელჩხადში 3-4-ჯერ მაინც შეგვახსენებენ თავს, ჩვენი მთავარი გაზეთის მთავარ რედაქტორმა იმდენი უნდა იზრუნოს, რომ 3-4 წელიწადში ერთი საკადრისი პასუხი მაინც გასცეს, თუ მეტი არა.

პატივცემულ ოპონენტს რატომაც მაინჩა, რომ წერილის ავტორი "ასეთ სიტუაციაში მოქმედებს გეგმასა და მიზანდასახულობაში (ერთიმეორეზე თავდასხმას გულისხმობს). ეს ნამდვილად ოპონენტის მოჩვენებაა.

ჩვენი შრომე კი, აი რა გვექონდა და რა გვაქვს ნაგულისხმევი წინასწარ შედეგები "გეგმასა და მიზანდასახულობაში" — უბრალოდ რომ ვთქვათ, როცა რაიმე ოპერაციას გეგმავ შენსა თუ სხვა ქვეყანაში, წინასწარ უნდა განსაზღვროთ თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას და ამის შემდეგ თუ შედეგები დადებითი აღმოჩნდება, უნდა გადადგა ნაბიჯი; ბოდიშს ვისდი ანა-ბანასათვის (ვისაც ეს ასე მიაჩნია), მაგრამ ეს ასეა და ალბათ წინასწარ რომ გამოეთვალათ, აფხაზეთის ტრაგედია არ მოხდებოდა და არც ის, ბატონო არმაზ, რომ მე ბათია-ბუთქისა და ხოცვა-ჟლეტის მომხრე ვიყო; მეორეც, როცა "ჯავახის" ლიდერი გიცხადებს, რომ ახალქალაქსა და ჯავახეთში სომხები უსოვარი დროიდან ცხოვრობენო, ავტონომიას მოითხოვს და მსოფლიოს აცნობს ამას ყველაფერს, შენ ინტერნეტში თუ არა, აქ, მაშაპაურ "საქართველოს რესპუბლიკაში" მაინც უნდა გამოაქვეყნო პატარა ცნობა ისტორიის გაყალბების თაობაზე.

ბატონო არმაზ! გეგმა და მიზანდასახულება რომ არ გვექონდა ნორმალური, ამიტომაც, რომ ისტორიის გაყალბების გამო, დღესაც ვერაფერი მოგვიხერხებია გაყავებინოთ აფსუებსა და ოსებს, რომ "სოხშია" "ცხუმია"

(გაგრძელება მე-5 გვ.)

გაუჩივრებული გლეხების პიროვნული აბაზიკე პირჯვარს იწერს

(მე-2 გვერდიდან)


ლომი" რუსეთის ლობია, ხოლო პრეზიდენტი კი ისევ რჩება "მელიის" პოლიციზე და ვერ გაუგიათ, "დასავლეთის მეგობარი" შევარდნაძე მართლაც ნებსითა და უნებლიეთ რატომ ხდება რუსული პოლიტიკის გატარების იარაღი, ანუ საშუალება მიზნის მისაღწევად. ვხედავთ, რომ გამოიკვეთა ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლება, როგორც ორი ერთ-ერთადპირსპირებული პოლიტიკური ძალა. ყველაზე საუბედურო კი ის არის, რომ ცალკე მხარედ გაუგებრობაში ჩაყარდნით ელექტორატი დგას, რომელსაც ვერ გაუცნობიერებია თუ ვინ ვინაა, მაგრამ ხალხი ბრძენია და ამას მალე მიხვდება. ფაქტი ერთია: გათიშულობა და დაძაბულობა ყველა შემთხვევაში იმ ყბადაღებული მესამე ძალის გააქტიურების ფაქტორზე მიუთითებს და სწორედ მის ნისკვლეზე ასხამს წყალს.

ეს პრესტორიისათვის, ძალა კი მოკლედ გავანალო იხით აჭარის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც განასახელა ხაჩიშვილთან შეხვედრა და დეო საფუძვლად და ჩვენი თანამემამულე სტუმარი კოლეგებისა და დელეგაციის სხვა წევრებისათვის მიუღწევლად ოცნებად დარჩა. უნდა ითქვას, რომ, მართალია განსახელთან შეხვედრა-არშეხვედრის ნებართვა მოსამართლის კომპეტენციაში შედის, მაგრამ არა მგონია ეს საკითხი მოსამართლე ლეონიძეს გადაეწყვიტა, რადგან იგი ცატიკოვს უფრო ფართო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე გარედან მოსჩანს, უბრალოდ, მან შეასრულა ის, რაც მას დაავალეს, (ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს), რადგანაც ხელისუფლებამ წინასწარ გათვალა ის შედეგები, რაც ხაჩიშვილთან დელეგაციის შეხვედრა-არშეხვედრას მოჰყვებოდა.

პირველი: შეხვედრის შემთხვევაში დელეგაციის წარმომადგენლები ალ-აპარკედოვდენ იმაზე, რომ ხაჩიშვილი პოლიტიკაშია და ასლან აბაშიძეზე მოსალოდნელი ტრაქტიკის შესახებ განცხადების დადასტურების შემთხვევაში, კიდევ ერთ მომზადებულ, მაგრამ განუხორციელებელ ტრაქტს, "ჩაითვლიდნენ". ამის შემდეგ კი დაიწყებდა ბრძოლა და ალბათ არ გაეკვირდებოდათ, თუ "დაზარტულეს" შორის პარლამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიასაც ვიხილავდით. შეუხვედრებლობის შემთხვევაში კი, როგორც მოხდა, ხელისუფლებას დადანიშნულდნენ აგრესიასა და რეგიონის უმაღლესი ხელისუფლების დისკრედიტაციაში. როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ბათუმმა თბილისს საკუთარ მოედანზე გაუტანა ბურთი, ხოლო ერთიანი საქარ-

გატების მიერ გამართულ თითქმის ოთხსაათიან პრესკონფერენციას ვგულისხმობ, რომელიც ოპერატიულ თაბთირს უფრო ჰგავდა, ვიდრე ურნალისტებთან ორგანიზებულ შეხვედრას, რადგან დარბაზში მასმედიის წარმომადგენლებს სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები ბევრად ჭარბობდნენ.

სტუმრების, ცოცხა არ იყოს ცივილიზებული პოლიტიკური მეტოღობით თითქმის ქნება, პრეზიდენტის ერთგული გუნდის წევრებმა, აღმასრულებელ ხელისუფლებას კარგად "უბაღელშვიკეს" და ფეხების ბაკუნით უშასუხეს. ეტყობა, ნახევარწინაღობის გადამწყვეტი ბრძ-



ოლის მეორე ტაიში ცენტრალურმა ხელისუფლებამ კარგის ცარიელი დატოვება აღარ მოისურვა.

როდესაც სტუმრები ზოგად საუბარს მოეშენენ და ფაქტების გამოშვებება დაიწყეს, კონკრეტულად დასახელებს თუ რა მასალები ჰქონდა გადაცემული საქართველოს პროკურატურას, ვარაუდი გამოთქვს, თუ რისთვის იყო გამოწვეული ოცდაარვა ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება "ტროტილის" ფოთის პორტში შემოტანა და აღმოფხვრა. გამომხატეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებთან სამედიო საჯაროსო ნაწილების კონცენტრაციით, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების წამოძახილებმა, ტრამუნაზე მდგარი, პრეზიდენტის მდგომარეობაში მყოფი სტუმრების ხმები გააფარა. დელეგაციის წევრებმა თავაზიანად მოიხადეს ბოდიში და დარბაზი დატოვეს. ურნალისტებიც უკან გააყვეს. ძალთაგანები კი "ზასადიდან" გამოვიდნენ და მიკროფონებთან დაიკავეს პოზიციები, მაგრამ დარბაზში მათივე კოლეგებისა და სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლების გარდა, თუ თითო-ორი დამოუკიდებელი გაზეთის ურნალისტს არ ჩავთვლით, არავინ დარჩენლა.

ასეთი გახლდათ წინასწარგათვლილი შოუს სცენარი, სამოქმედო ტერიტორია კი შოუებს დაჩვეული სახელმწიფო კანცელარია.

დასასრულს იმასაც ვიტყვით, რომ ეტყობა, ხელისუფლებამ წინასამი დღე იმიტომ გაატარა თავდაცვაში, რომ ფინალში აქტიურ შეტევაზე გადასულიყო, თუნდაც სახელმწიფო კანცელარიაში შეწყვეტულ სტუმრებზე, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების საზღვრო სტრატეგიაზე საუბარს ნამდვილად არ ვაპირებ, ეს ხომ აფხაზეთის ომშიც კარგად გამოჩნდა. ასე, რომ წინასწარ დაგეგმილი ეს "ოპერაცია" კრახით დასრულდა, თუმცა სტუმრების მიღწევთან ერთად მათი ტაქტიკური მარცხიც უნდა გავანალო იხით, განთამამებულები, სახელმწიფო კანცელარიაში რომ დათამბდნენ თამაშის მეორე ტაიშის გამართვაში.

"მასპინძელთა" არაფრის მომცემ ფეხების ბაკუნს, არც სტუმრები და არც სტუმრებისაგან "გალახული" მასმედიის წარმომადგენლები არ შეუშინდნენ, ვახვით, რა შედეგს გამოიღებს ეს შეხვედრები და რა მოჰყვება "სტუმრების" თითქმის ქნება. ფაქტი ერთია, თუ ბათუმში ნათქვამი სიტყვა გაუფუჭებული ტელეფონის პრინციპით არ იშუშავებს, ყველა ერთად ვილოცებთ ერთიანი საქართველოს ძლიერებო! სათვის.

კობა კახანაძე



თველოსათვის რა ანგარიშით დასრულდება ეს პოლიტიკური ჭიდილი, ამას მომავალი გვიჩვენებს და წინასწარ დასკვნების გაკეთება, ალბათ, შორსმჭვრეტელობის ნაცვლად არაეფრთხილი ინტერესებიდან გამოხედვა იქნება.

საერთო შედეგების ნაცვლად, თუ პოლიტიკური თამაშების ნახევარწინაღობა უფრო შევვლავს მეორე ტაიშს შევავსებთ, რომლის მოედანს არა მთლიანად დედაქალაქი, არამედ სახელმწიფო კანცელარია სხდომათა დარბაზი წარმოადგენდა, სულ სხვა დასკვნამდე მივალთ. ალბათ ადვილად მიხვდით, რომ დელე-

ჩემს უკანას და წინას გატანჯული და ამაყი საქართველო დგას, ანუ ახლა 37 კი არა, 98 წელია, გატონო არაა!

(მე-4 გვერდიდან)

და არა "აკუა", რომ "ცხინვალ" კი არაა, არამედ "ცხინვალი". რატომ არ გინდათ დანახოთ ბატონო არმაზ, რომ ჩვენს წერილში გამოთქმული გულსიტყვივით მთავარი დედაპირი საქართველოს ისტორიის გაყალბებისაგან დაცვა, რაც ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია და რის გამოც დავარაგეთ (ჯერ-ჯერობით) აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი და თუ არ გამოვფხიზლებდით, ალბათ, უფრო მეტსაც დავარაგებთ ძახილით "ნუ ვაწყენ-ნებთო".

რატომ არ გინდათ დანახოთ ბატონო არმაზ, რომ "გეგმებსა და მიზანდასახულობაში" ვგულისხმობდი არა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას, არამედ აი, რას — ჩვენ რომ "აიდგილარას", "კრუნკის" და "ადამონ ნისასის" ანტისახელმწიფოებრივი, ანტი-ქართული მოქმედებისათვის კანონი დაგვეპირისპირებინა, მაშინ შირინიანი მტკიცებას აღარ დაგვიწყებდა, ახლა გინდათ თუ არა რესპუბლიკა გვეკუთვნისო; მეც თქვენივე სიტყვებით შემოგვხმინებოთ — არ გინდათ დანახოთ იმიტომ, რომ ხელს არ გაძლევთ. თუ რატომ არ გაძლევთ ხელს, ეს ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია.

აქ დიდი ილიას სიტყვებს გაგახსენებდით: "ერის პირველ დამბობა, გათახსირება, განყალბება იქნა და იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს" და მაშინაც, როცა მას აღარ ძალუძს თავისი ისტორიის დაცვა განწყობისაგან. აი, ეს იყო და ღრის ჩემი იმ წერილის (და არა მარტო მისი) სატიკვარი და არა ქვეყნის ხელისუფლების, არეზისტენტისა და ხალხის წინააღმდეგ გალაშქრება, რასაც ასე უც-

ერემონიოდ და უსაბუთოდ მსამებთ.

ქართული გულუბრყვილობის კლასიკური ნიმუშია ბატონი ოპონენტის ბოლო აბზაცი — "ჯავახის" ლიდერებზე გვითხრეს, ეგენი ისეთი ხალხია, რო დაიკარგონ, საკუთარ ოჯახში არ მოიკითხავენო. აი, ასე". გვაშვიდებს ავტორი.

"ჯავახის" ლიდერები, ჯავახეთში მისი სტუმრობისას, თუ მართლა "დაკარგული იყვნენ", ბატონ ოპონენტებს რატომ ერთხელ მაინც არ უბოძა ჟურნალისტურმა ჟინმა, დაედგინა მათი ადგილსამყოფელი — ხომ შეიძლება ისინი საზღვარგარეთ ჯავახეთის ახალი რუკის დასაბუქდად ან "საფერავთან" ერთად ახალი სომხური ღვინოების "რქანი-თელისა" და "ტუბანის" გასასაღებლად იყვნენ წასული. "საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი ამის შესახებ ხომ ცხელ-ცხელ ამბავს მოგვანუდიდა, არადა, კიდევ ოთხი წელი დაგვჭირდება ინფორმაციის მისაღებად.

"პასუხის-პასუხს" კი ასე დავამთარგმნედი — რაც დრო გადის, მით უფრო ფრწუნდები, რომ საქართველოში სობნელებ ანათებს, ჩვენ პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქაში ვცხოვრობთ.

ბატონო არმაზ! სანამ ამ სიტყვების გამო ზემოდან ვინმე დაგირკავდეთ, ან თქვენ გადასწვდებოდეთ საცეცხლე ფორმებს, მანამდე გთხოვთ, თქვენი გაზე-

თის 24-ე ნომერი გადაიკითხოთ ყურადღებით.

სიმათლე გითხრათ, თვალებს არ დაფუჯერე, რადგან ჩემს წერილზე თქვენი გამოხმაურების შემდეგ აღარ მეგონა თუ მეორედ დღესვე ასეთ სიტყვებს გაუშვებდით თქვენი, როგორც მთავარი რედაქტორის ხელმოწერით. ასეთი რამ მე რომ გამპარვოდა, ალბათ, თქვენ ჩემთვის 15 წელი ნამდვილად გეცოტავებოდა — როგორ თუ ასეთი ცილი დასწამა ჩვენს თანამედროვეობასო და ახლა, ალბათ, გაცვლის წესით, კრასნოიარსკში მაინც ვიქნებოდი, კოლიმაზე თუ არა.

ეს სიტყვები ეკუთვნის მართლაც არაორდინალურ ხელმძღვ-



ანელსა და მოღვაწეს, ბ-ნ თემურ შაშიაშვილს და თქვენი გაზეთის 24-ე ნომერშია დაბეჭდილი.

ღმერთი და მკითხველია მონმე, რომ ჩემს წერილში მსგავსი "ცოდვილი აზრები" არ გამოითქვამს.

არადა, ბატონმა თემურმა თქვენზეც და ჩემზეც უკეთ იცის ის, რომ ოპიციონის ორგანო ოდითგან მისთვის ჩვეულ ტრადიციებს არ დალატობს და "კომუნისტისგან" მეკვიდრობით გამომცემულ გზას ადგას. თუ რა გზაა ეს გზა, მისი ფურცლებიდან აშკარად ჩანს. ანუ ერთი რამ ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ: ასეთი გზა გატანამდე არ მიგვიყვანს. პირიქით, იგი ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისათვის ჩირქის მოცხებაა, მათი ლანძვის, ხელისუფალთა უამრავი შეცდომების წინაგადადგმულ ნაბიჯად მოჩვენების გზაა და ის რუპორია მავანთა ხელში, საიდანაც სმამალა გაყვირიან ენ. ტოლერანტობაზე, ხალხთა ძმობაზე, მეგობრობაზე, მიმტევებლობაზე და ა.შ. თავისთავად ტოლერანტობაც, ძმობაც, მეგობრობაც კარგია, მაგრამ ცალმხრივად არა, ბატონო არმაზ! არადა, ხელისუფალთა ტოლერანტული პოლიტიკა სწორედ ამაზე მეტყველებს. ჩვენი ჩრდილოელი "მამაც" და მისი დამქაშები აფსუსათა და ოსთა სახით ზურგში გამუდმებით გვირტყამენ მახვილს, ჩვენ კი თვალბუმი შევიცივინებთ და კვლავ ძმობას ვეფიცებით. თქვენს მიერ გაკრიტიკებული ბიძინა თავაძეც ამას ლაღდება თავის წერილში, მოეშვიტ სორაქლეშობასო, მაგრამ ეს პოზა თქვენც და თქვენს ზემდგომთაც, ისე სჩანს, ძალიან მოგწონთ და ვერ გეთმობათ. თუმცა პოზის არჩევანი თქვენი პიროვნული უფლებაა, მაგრამ რეგით მოქალაქეებს რას ერჩით, მათ რატომ უნებეთ თავგზას? რაც შეეხება იმ პოლიტიკას, რასაც თქვენ ატარებთ თქვენივე გაზეთში, ქართულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მას უფრო სხვა სახელი შეეფერება და მასზე მომავლის შემტანენი იზრუნებენ ალბათ.

დიდი პატივისცემით ბიძინა თაყაიძე

რედაქტორისაგან: ჟურნალისტური ეტიკა მოითხოვს, ჩემს კოლეგაზე კალამი არ გავავარჯიშო, მაგრამ, რადგან პირველმა ბ-მა არმაზმა დაარღვევა ეს ეტიკა და ჩემი გაზეთის ავტორს და თავად გაზეთსაც საკმაოდ ბოლმინი წერილი მიუძღვნა საკუთარ გაზეთში, იძულებული ვარ მეც გადავუხვიო ეტიკას და ერთი-ორი "ტკბილი" სიტყვა ვუთხრა არმაზ ბატონს:

მე არ ვიცი, რატომ ააღივლა ასე ძალიან ოპიციონის გაზეთის რედაქტორი მაინცდამაინც ბიძინა თავაძის ზემოთხსენებულმა წერილმა, მაგრამ ერთი რამ ცხადია ისევე, როგორც ხელისუფლება უფროსის სიმათლე სათვის თვალბუმი შეგდებას, მისი ორგანოც, "საქართველოს რესპუბლიკა" ცდილობს ხალხს თიური შვავად მოაჩვენოს და პირიქით. თუ როგორ ახერხებენ ამას ამ გაზეთის მესვეურები, მკითხველმა

გამოხეობა

საშველი სად არის?

(მე-2 გვერდიდან)

კომპლექტება და დაფინანსება, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. ფინანსები მოსაძიებელია, მაგრამ იმედი მაქვს, პარტიებშიც იქნებიან მენარმეები, უპარტიო მენარმეთა მოზიდვაც შეიძლება და, ბოლოს და ბოლოს, პარტიებსაც შეუძლიათ ახალ სამენარმეო საქმიანობას ჩაუყარონ საფუძველი, ან კიდევ, ხელი შეუწყონ ასეთი საქმიანობის დაწყების მსურველებს.

ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატის (თუ კანდიდატების) შერჩევა, ასევე მომავალი მთავრობისათვის კანდიდატთა შერჩევის პარალელურად უპირველესი კრიტერიუმიც მარტოვეა შერჩევა; ყოველი კანდიდატი უპარტიოდ უნდა იზარებდეს სამოქმედო პროცესში და ქველმონოდებას: "საქართველო, უპირვე-



ლეს ყოვლისა", მთელი თავით საქმიანობითა და შესაძლებლობებით შეეფერებოდეს იმ პოსტს, რისთვისაც მას შერჩევენ.

ვიცი, ზოგიერთს გაეცინება, სათქმელად ადვილია, გასაკეთებლად ძელიო. პასუხი ასეთია: ხელისუფლებაში მიმსვლელად უვარგისი ძალია ვერც ხელისუფლებას გასწევს, ასეა ეს. მოვიდომოთ და გამოვა. ხომ ნათქვამია, ცდა ბედის მონახვერეაო.

ვხატავ თავისი ცხოვრების მიზნად გაუხდია "საქართველო, უპირველეს ყოვლისა", გავერთიანდეთ და მოვერევით შინაურსა თუ გარეულ მტერს; "ჩვენს ქუჩებშიაც იქნება ზვიმი".

რეზა ხალია.

პრეტხალ კიდეც ფსევდო-დიონისას საიდუმლოების შესახებ


ნიგნის დანერგვით და ამ ხნის განმავლობაში მოკლე ანოტირებული ნაშრომები კი არ თარგმნილა და არ გაგზავნილა დასავლეთში. ამის აუცილებლობასა და საკითხის აქტუალობას კიდევ ერთხელ ცხადყოფს ახლახანს თბილისის უნივერსიტეტის სახელზე ჩვენდამი გამოგზავნილი წერილი ბუდაპეშტის უნივერსიტეტიდან. იგი იმდენად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, რომ საზოგადოება უნდა იცნოდეს მას:

"მივიღე ქ-ნ ქეთევან ნუცუბიძის წერილი ფსევდო-დიონისე არეობაგელის შესახებ პროფ. შალვა ნუცუბიძის ნაშრომების ინგლისურ ენაზე თარგმნისა და გამოცემის შესაძლებლობის შესახებ. მიმაჩნია, რომ ეს იქნება მნიშვნელოვანი მოვლენა არეობაგელულ კვლევა-ძიებაში. სამწუხაროდ, ფსევდო-დიონისე არეობაგელზე მომუშავე მეცნიერთა შორის იშვიათად ვინმე თუ შეუძლია რუსულად კითხვა და ამდენად შალვა ნუცუბიძის ნაშრომები, მეცნიერისა, რომლის სახელი ფართოდაა ცნობილი სამეცნიერო სამყაროსათვის, მეტ-ნაკლებად მიუწვდომელი რჩება.

პროფ. შ. ნუცუბიძემ ნაშრომები დაბეჭდვა, რომლის თანახმად, ფსევდო-დიონისე არეობაგელი არის იგივე პეტრე იბერი, ცნობილი ქართველი ბერი, რომელიც Vს-ში პალესტინაში ცხოვრობდა და მაიუმის მონოფიზიტ ეპისკოპოსი გახდა. რამდენიმე წლის შემდეგ იმავ დასკვნამდე მივიდა ცნობილი ბელგიელი ბიზანტოლოგი ერნესტ მონიგმანი და მას შემდეგ ეს თეორია ნუცუბიძე-მონიგმანის ჰიპოთეზის სახელითაა ცნობილი. ახლახანს ასევე ცნობილი ბელგიელი მეცნიერი მიშელ ვან ესბროკი მიუბრუნდა ამ თეორიას და ნაშრომის ახალი მტკიცებები მის მხარდასაჭერად, თუმცა ჯერაც არ არის სრული თანხმობა ამ თეორიის მიღების ან უარყოფის საკითხში.

თუ პრობლემის მნიშვნელობას გაითვალისწინებთ, ერთობ სამწუხაროა, რომ ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერები ეყარებიან მხოლოდ მეორე და მესამე წყაროდან მომდინარე ინფორმაციას. კერძოდ, ნუცუბიძის არგუ-

მენტებს იცნობენ მხოლოდ დასავლელი მეცნიერების მოკლე რეზიუმეებიდან, რომელთაც შესაძლოა წაკითხულიც კი არა აქვთ დედანში შ. ნუცუბიძის ნაშრომები, რომლებიც მათში ნაშრომებში ჰიპოთეზის გარდა შეიცავენ ფასდაუდებელ მასალას იმ პერიოდისა და იმ გარემოს შესახებაც, რომელშიც ფსევდო-დიონისე ცხოვრობდა.



ამგვარად, სამეცნიერო სამყაროსათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება, თუ შალვა ნუცუბიძის ნაშრომები ხელმისაწვდომი გახდება ინგლისურ ენაზე.

პატივისცემით პროფ. იშტვან პერცელი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი. შუა საუკუნეთა განყოფილება".

26.1.1998.

როგორც ვხედავთ, საკითხი ევროპის მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. ეს კი მოითხოვს ნუცუბიძის ნაშრომის ჩართვას ამ კვლევა-ძიებაში, რისთვისაც აუცილებელია მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-გადარჩენაზე. იქნებ გამოჩნდეს პიროვნება, ან ორგანიზაცია, რომელიც მიხვდება ქართული კულტურისათვის დასმული პრობლემის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს შ. ნუცუბიძის ნაშრომის — "პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა" — თარგმნას ინგლისურ ენაზე. ეს იქნება დიდი და რეალური წვლილი ქართული კულტურის შორს გატანისა და პროპაგანდის საქმეში.

მთივან ნუცუბიძე
თბილისი
30.1.98.

კვლევა ატმოსფეროს რამბარტის უფუნეაში ცხოვრობან. მასწავლებელი კი შიშოლოზან...

ლია წერილი

საბარტველოს პრეზიდენტს, ბატონ ელზარდ შვიპარდნაძეს
საბარტველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზ. შვიპარდნაძეს,
პარლამენტის პრეზიდენტს, ბატონ ბ. პარტოზიას

(მე-3 გვერდიდან)

საქართველოში "თურქული უნივერსიტეტი" გახსნას. საჭირო იყო მისთვის ამოქმედებულიყო იმპრემენტის წესი და მინისტრი, მისი მონადგელები და კოლეგის წევრები თანამდებობიდან უნდა გადაეყენებინათ.

როგორც ვხედავთ, პარლამენტის წევრებს დრო არ რჩებათ უფრო ღრმად ჩასწვდნენ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების აგსა და კარგს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მათი დიდი ნაწილი იმავ თანამდებობაზე მუშაობს, რომელზედაც პარლამენტში არჩევამდე მუშაობდა. რა არის ეს, თუ არა თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სახელმწიფო ქონების ფლანგვა, სხვისი ჭირის არ დანახვა. იქნებ დადგა დრო, შეინდგეს ეს საკითხები და დაიხსნა შემორჩენილი მემკვიდრეობა, პარლამენტის უფლების ჩამორთმევით მაინც, რადგან სამინისტროებსა და უწყებებში დაკავებული სკამები არ ეთმობათ.

თუ საქართველოს რესპუბლიკას განათლების სისტემისათვის თანხები არ ყოფნის და ნაწილობრივ ფასიანი სწავლება შემოიღოს, მაშინ საკითხავია, რა საჭირო იყო 12-წლიანი სწავლების შემოღება. ეს ხომ ეულდ სამსახურს გაუწევს მოსახლეობის განათლებას და გამრავლებას (ამაზე მოუთხოვს ჩვენი ზონის ფიზიოლოგიური პროცესები). იგი აგრეთვე ეწინააღმდეგება სამხედრო მემკვიდრეობის საკითხებს, კერძოდ, წვევამდელ და გასანდვით ასაკის ვაჟების სამხედრო სამსახურის საქმეს. ისიც შეეცდობა, რომ თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის (სახელმწიფოს და კომერციული) სტუდენტები გათავისუფლებული არიან სამხედრო სამსახურადან — ვინ უნდა წავიდეს სამხედრო სამსახურში...

სკოლებში კვლავ მიმდინარეობს მშობლებისაგან თანხების გამოძალვის ფაქტები, გათბობის განათების და სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დანაშაულებით სათვის. ბევრი ვაი ხელმძღვანელი ბოროტად იყენებს თანამდებობას და ქართული სტუმართმოყვარეობის მოშველიებით ეწევა აშკარა გამოძალვას არა მარტო მშობლებისაგან, არამედ ჯიბეცარიელი მასწავლებლებისგანაც კი. ვფიქრობთ, დროა წერიტული დაესვა ნებადაურთველ, ტესტებით შეიარაღებულ ყაჩაღობას, რათა ნაწილობრივ მაინც დავიკავებთ სოციალურად დაუცველი ფენა ინტელიგენციისა — შედაგოგები. შეწყდეს შედაგოგთა მიმართ ცინიზმი და სადინი, მათ მიმართ მიმართული ბანდიტიზმი. ამ საქმის გამოსწორება არ შეუძლია მხოლოდ თ. კვაჭანტარაძის გადაყენება. უნდა მოხდეს მისი ჯგუფის წევრების სასწრაფო და უსიტყვო გადაყენება, როგორც ახა გ. მურღულია, დ. ბურჭულაძე, ლ. მნათობიშვილი და სხვანი, აუცილებელია შემოწმდეს ატმოსფეროსისათვის თანხების ხარჯვის საკითხი, ვფიქრობთ რომ აქ დიდი ფინანსური დარღვევაა, თანხის მითვისება, ის თანხა უნდა დაბრუნდეს განათლების სისტემის ბიუჯეტში. შედაგოგები პურის ფულის საფასურის ანაზღაურებას ვერ ღებულობენ, ნახევრად მშვირ-მწყურვალნი არიან, ხოლო მისმა ჩამტარებელმა გ. მურღულიამ ახალი მერსედესი ავტომობილი შეიძინა — რა საშუალებით?!

შოთა კახანაძე,
შოთა ჭავჭავაძე,
დამასხურებული მასწავლებლები, შედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის სამეცნიერო სექტორის პრეზისა და ინფორმაციის ცენტრის ექსპერტ-კორესპონდენტები

დასასრული. დასაწყისი იხ. „საბარძელო“ №58,59,60

დენიური პრემია ლაზარაძე - ვლასოვი? ისტორიკოს ვატრა უზაკოვის საიდუმლოება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორვე სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურა არსებითად ერთნაირია. რასაკვირველია, გიორგი მელიქიშვილის ნაშრომი უფრო ფართოა (სხვათა შორის, მოგახსენებთ იმასაც რომ პეტრე უშაკოვს ჰქონდა უფრო ვრცელი ნაშრომი, რომელიც მხოლოდ ურუტულულ ნარწევებს შეიცავდა და რომელიც აგრეთვე დაკარგულია) და, ალბათ, რიგი ნაკითხვებისას უფრო ზუსტი, მაგრამ მას რომ გამოყენებული აქვს პეტრე უშაკოვის დისერტაცია და კერძოდ „ურარტულ-რუსული ლექსიკონი“, საკითხის შესახებ მისეული მდიდარი ისტორიოგრაფია, ეს უეჭველი გახლავთ.

მოვიტანო რამდენიმე პარალელურ ტექსტს აი, პეტრე უშაკოვის მიერ ჩვენთვის ძალზე საინტერესო იაზლუტაშის ნარწერის (№22) ნაკითხვა:

„Бог Халди выступило многочисленное войнство в страну Диаухинову - в страну многолюдную (букв. многочисленных).“

Бог Халд могуч, Халдово войнство могуче. благостроением бога Халда выступил Менау, сын Ишпуна, вместе (с ним) выступил бог Халд! Менау говорит: Я захватил страну Диаухову, город Шашилу-город царский - я штурмом взял;

Страну я сжег, дворцы (укрепления) разорил до стран Шешети и городу Зуа подвластного города Удуха. Менау говорит: Удупуриши, царь Диауховский, явился ко мне, он доставил дары, склонился ниц, я смилостивился, он был прощен, я наложил подушную подать - он дал золото, серебро, дал дань. А сколько похищенных было в услужении (букв. служками, отроками) - он возвратил (их) свободными. Менау говорит: много прекрасных, от Диаухова коней, кавалерии для войск (моих) и упряжь (?) колесниц я добыл, войск (армии) многочисленные их колесницы от двух царей я силой отобрал (добыл) (отграбил); в Балтуховой стране, в стране города Халдирлулова укрепленные дома-дворцы внутри страны я ограбил (оторвал). Менау говорит: кто это надпись уберет, кто имя уберет, кто все это сделает, кто другой скажет: Я сделал (это) мужа этого мужа Бог Халд, бог Тешуб, бог Ардия и его боги-дня, имя я рода потомства, как его, так и народа-водою унесут.“

(იხ. გვ. 269-72).

ახლა ვხახთ გიორგი მელიქიშვილის 1960 წელს გამოქვეყნებული ნიგნის იგივე №36 ნარწერა (გვ. 158):

„Бог Халд выступил (в поход) со своим оружием против Диаухеи, могущественной страны. Халди могуч, оружие бога Халди - могучее. Могуществом бога Халди выступил (в поход) Менау, сын Ишпуни; предшествовал (?) (ему) бог Халди.“

Менау говорит: завоевал я страну Диаухеи, в бою я завоевал город Шашилу, царский город. Страну я сжег, крепости (разрушил?). Дошел я до страны Шешети, (до) города Зуа. Город Утуха... Менау говорит: Утупуриши, царь Диаухеи явился передо мной, обнал (мои) ноги, ниц повергся, я отнеса (?) (к нему) милостиво (?), пощадил я (его) под условием (выплат) дани, дал он (мне) золото (и) серебро, дал дань. Тех пленников (?), (которые) возвратились (к нему), он вернул полностью (?).

Менау говорит: ...двух царей я оттуда удалил - (царя) страны племени Балтухи (и) царя) страны города Халдирулухи; (какие только были) в стране укрепленные цитадели, я оттуда (их) отторгнул. Менау говорит: кто, эту надпись уничтожит, кто (ее) разобьет, кто кого-нибудь заставит совершить эти (дела), кто другой скажет: я совершил (все это), пусть уничтожат боги Халди, Тейшеба, Шивини, (все) боги перед солнцем...“

ახლა ურთიერთს შევადაროთ სარდურის ქრონიკის პეტრე უშაკოვისეული და გიორგი მელიქიშვილისეული ნაკითხვები: პეტრე უშაკოვთან (ნარწერა №19):

„Сардур говорит: Я направился в страну Кулха (колхов).“

город Илдамаш, город царский ...шая, царя страны хулхского народа, бывший укрепленным, силою (штурмом) я взял, народ пожег, старшин (букв. людей присяги), которые находились в стране Хулха-и-хних я перебил, железную доску я сделал (и) надпись

в городе Илдамаше поставил, дворцы (и) города я пожег, (и) разграбил, страну я об'ел,

мужчин, женщин я угнал. Сардур говорит:

в том же году во главе кавалерии я направился в страну Витеруха, три правителя смирились (покорились), я их оставил на трех (их) местах, сделал надпись об устройстве. Величием бога Халда страну я решил: выселить, в один день я (ее) занял, страну я об'ел, мужчин, женщин угнал, в городе Урая укрепление (букв. дворец) я воздвиг (построил), людей присяги (или "жрецов") ихних я захватил внутри народа страны Витеруха, там я их поселил.

Сардур говорит: вот сколько я для царства (государства) сделал: 8100 детей я добыл

9100 женщин угнал, всего 17200 народу, одних я убил, других живыми увел;

1500 коней я угнал 17300 быков, 31600 овец; с помощью бога Халда Эти прекрасные деяния я в один год совершил (сделал); в ы с т у п и л о

Халдово Его собственное войнство одолело четыре царей

страны Уедури внутри страны Этиуни; царя Аргухну, царя Каама и царя Луеру и направилась внутрь этой мойей (страны) (в Тушпу).

ახლა შევადროთ გიორგი მელიქიშვილთან (გვ. 282):

... Сардур говорит: выступил я (в поход) против страны Кулха, страну я ..., город Илдамаша, город царский ... царя страны Кулхახალი, укрепленный, в бою я завоевал, (его) население я сжег, irdi страны Кулха, какой (только) был там, я умертвил. Железную печать я приготовил, надпись я установил в городе Илдамаша; крепости, города сжег (и) разрушил, страну разорил, мужчин (и) женщин угнал.

Сардур говорит: в том же году в третий раз (?) выступил (в поход) на страну Витерухи. 3 правителя областей были призваны (?), в три места я поход совершил. Величием бога Халди страну я окружил (?), за один день я (ее) захватил; страну разорил, мужчин (и) женщин (оттуда) я угнал. Крепость города Ураиანი я построил, irdi я там оставил (?) Sia страны Витерухи я там посадил. Сардур говорит: (вот) какой подвиг я совершил: 8100 отроков я увел, 9110 женщин угнал я, всего 17200 человек, одних я умертвил, других живыми увел. 1500 коней я угнал (а также) 17300 голов крупного рогатого скота, 31600 голов мелкого рогатого скота. Сардур говорит: Для бога Халди я эти подвиги за один год совершил.

Бог Халди выступил (в поход) со своим оружием (?), победил он четырех царей в стране Уедури-Этиуни, царя Аркукив, царя Каманив, царя Луерунив...“

როგორც იტყვიან, კომენტარება ზედმეტია და იგი მკითხველთათვის მოგვიწოდია. ცხადია, კიდევ 34 ნარწერის პარალელური კომპობანი ძალზე შორს წაგვიყვანდა, და ამგვარად აღნიშნული ორი ნარწერით, და თანაც საქართველოს ისტორიისათვის ფრიად საინტერესოთი, შემოვიფარგლებით.

ახლა ზოგიერთ აზრობრივ დამთხვევაზე მოგახსენებთ. პეტრე უშაკოვის მიხედვით პროტოხეთულად (ანუ ხათურად) ღმერთი აღინიშნება სიტყვით „washaw“ და იგივე ოქმის კასიტური ენის თაობაზეც აქედან გამომდინარე იგი დაასკვნდა „Трудно допустить, чтобы кассеи, отдельные от хатийцев лубубеями, на языке которых слово бог выражалось иначе: Kikum, заимствовали данный термин у хатти, потому надо признать родство происхождения хаттийцев и касситов.“

(გვ. 372). იგივე მოსაზრება ბევრჯერ აქვს განმეორებული გიორგი მელიქიშვილს. მაგალითად ეს უკანასკნელი წერს: „მაგრამ არიან კი მართლა პროტოხეთები მცირე აზიის უძველესი მცხოვრებლები? ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ადგილს ხანაში (გვ. წ. 2500-2800 წწ. ან კიდევ უფრო ადრე)

მცირე აზიაში? პროტოხეთების ზოგი ლექსიკური შეხვედრა შორეული ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები კასიტების ენასთან ჩვენ, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ამგვარი ვეჭო“ (გვ. 160); „ან ეგების „მტკვარ-არაქსის“ კულტურა იყო ასეთი კასიტურ-პროტოხეთური ერთობა და აქაური მოსახლეობის ერთი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთით (ზაგროსი), ხოლო მეორე — სამხრეთ დასავლეთით (აღმოსავლეთ მცირე აზია) გადაადგილდა?“ (გვ. 162, იხ. აგრეთვე, გვ. 164).

კურიანის ქვეყანას პეტრე უშაკოვი უკავშირებდა მტკვრის მიდამოებს. იგი წერდა: „...нельзя ли связать этот термин с именем реки Куры и переводить: "подчинил родине страну Эриахи-страну района Куры...“ (გვ. 213). ამავე ქვეყნის შესახებ გიორგი მელიქიშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: „...возможно, это - область в верхнем течении р. Куры, в названии которой сохранилось название этой страны.“ (გვ. 438).

კოლხთა სატახტო ქალაქის ილდამუშას სახელწოდებასთან



დაკავშირებით პეტრე უშაკოვი წერდა: „მათი სატახტო ქალაქის სახელწოდება ილდამუშა ერთი მხრით ეთანაბრება ასოიულ წყაროებთან ცნობილი ქალაქის დადამუშას სახელწოდების მეორე ნაწილს, ხოლო მეორე მხრით მოგვაცხადებს მდინარე ილდარუნას სახელწოდებას, რომელიც ქალაქს მატყანებში იხსენიება“ (იხ. „საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X-B, 1940, გვ. 251). ეს მოსაზრება შეადარეთ გიორგი მელიქიშვილის ნაშრომის 430-ე გვერდთან (თუმცა აქ დამონებულია ბორის პოტროვსკის შეხედულება). ამგვარად მოტანილი მაგალითებით დავკმაყოფილდეთ.

ჩვენი დასკვნა ასეთი გახლავთ. გიორგი მელიქიშვილი უეჭველად გაცნობილია პეტრე უშაკოვის სადოქტორო დისერტაციას, გამოყენებული აქვს ავტორის მრავალი ნაკითხვა და მდიდარი ისტორიოგრაფია. რასაკვირველია, გიორგი მელიქიშვილი რომ ოდნავ ნესიერი, ეთიკური კაცი იყოს, ყოველდღე ამის მითითებას არ დაზარდებოდა, მაგრამ „ურუტულულ ლურსმულ ნარწერებში“ მხოლოდ ერთხელ გაიმეორა პეტრე უშაკოვის მოხსენიება. აქ ვკითხულობთ:

„Чтения В. В. Пиотровского некоторых трудноразабираемых мест надписи на основании личных наблюдений над памятником даны в статье П. Н. Ушакова, опубликованной в ВДИ, 1946 г., №2.“ (გვ. 328). აქაც, როგორც ვხედავთ, მითითებულია პეტრე უშაკოვის სულ სხვა ნაშრომი და არა სადოქტორო დისერტაცია. აღნიშნავთ, რომ ნიგნის ისტორიოგრაფიულ ნაწილში გ. მელიქიშვილმა პეტრე უშაკოვის ღვაწლი ერთხელაც არ მოიხსენია.

ცხადია, ყოველივე ეს გიორგი მელიქიშვილმა იმპიტომ მოიმიქმედა, რომ უფრო მეტად განედიდებია თავისი როგორც ურარტულულ ლოგოსის მნიშვნელობა საქართველოში. სხვა დროსაც იგი ჩვეულებრივ იგნორირებს ალექსანდრე სვანიძის და თვითონ მიხეილ წერეთლის დამსახურებას. ისიც ხომ ფაქტია, რომ მას საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის ამ სფეროს განვითარებისათვის თავი არ მუნუხებია, რაც თავის მხრივ ძალზე გასაკებია.

გული, მას დარჩა ათამდე გამოქვეყნებული ნაშრომი. მათგან ირკვევა, რომ პირველი ისტორიკოსი, რომელმაც საქართველოს უძველესი ისტორია (ნაწილობრივ სომხეთისა და აზერბაიჯანისა) გააშუქა ურარტულური წყაროების მიხედვით, სწორედ პეტრე უშაკოვი გახლდათ, რომელმაც ამ საკითხზე სამი მნიშვნელოვანი სტატია გამოაქვეყნა. ამ ნაშრომებში მან მოგვცა დიახი-ტახის, კოლხა-კოლხების, ზაბახა-ჯავახეთის, კათარზა-კლარჯეთის, ვიტურუხი-ბიძერების, იგანიხი-პენიხების, ლუშა-ლაზების იდენტიფიკაციები. ამ მხრივ პეტრე უშაკოვის ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში დაუწყვარი იქნება. ის რაც ამ სფეროში გიორგი მელიქიშვილმა გააკეთა, ეს ძირითადად პეტრე უშაკოვის აზრების განმეორებაა. მხოლოდ ერთხელ, 1964 წელს გამოსულ კრებულში „გურუზისკაია სოვეტსკაია ისტორიოგრაფია“ გიორგი მელიქიშვილს „ეყო სინდისი“ ელიარეზინა: „В исследовании вопросов политической истории следует отметить интенсивное изучение вопросов о взаимоотношениях со странами древнего Востока (П. Н. Ушаков, Г. А. Меликишвили).“ (იხ. გვ. 15).

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ აქ ავტორის სამეცნიერო ეთიკას გავსუვათ ხაზ. ჯერ ერთი აღნიშნული კრებული გამოვიდა მეტად შეზღუდული ტირაჟით, ხელნაწერის უფლებით, ისე, რომ ეს სტრიქონები ცოტა ვინმეს თუ ექნება ნაკითხული და მეორე, ეს მისი მხრივ იძულებით გამოწვეული უესტი გახლდათ. საქმე იმაშია, რომ 1965 წელს თბილისში, ისტორიის ინსტიტუტში, აკად. ნიკო ბერძენიშვილის

ინიციატივით უნდა გამართულიყო საკავშირო ისტორიოგრაფიული სესია, რომლისთვისაც იყო ჩაფიქრებული აღნიშნული კრებულის გამოცემა. ამავე წლის ივლისში გარდაიცვალა ბატონი ნიკო ბერძენიშვილი და ინსტიტუტის ახალმა დირექტორმა გიორგი მელიქიშვილმა გააუქმა ეს ღონისძიება. ამას კი იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ პროფ. სარგის კაკაბაძე იმუქმებოდა სესიას სიტყვით გამოცემა და იქ აღიარებდა პეტრე უშაკოვის ნაშრომების მითვისებას გიორგი მელიქიშვილის მიერ. გასაკებია, რომ ზემოაღნიშნული „ეთიკური“ უესტი გიორგი მელიქიშვილმა სესიაზე სარგის კაკაბაძის მოსალოდნელი გამოსვლის გასანეტრალბლად გააკეთა. აქაც კითხვა დავსვათ: ნუთუ ქორის, კლინისამებისა გიორგი მელიქიშვილს იმდენად შეუმინდა, რომ მის ასაკვეთად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიების გაუქმება მოუხდა?

ასევე იძულებით იყო გამოწვეული პეტრე უშაკოვისა და მისი ერთი ნაშრომის მოხსენიება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველ ნიგნში (გვ. 183, 540). აქ აღნიშნულია „ლუსა“ (ალუსა) ს „ლახთან“ იდენტიფიკაცია. მანამდე 1954 წელს გამოსულ „ნაირო-ურარტულ“-ში, 1959 წელს „ისტორიი დრევენი გრუზი“-ში და 1965 წელს გამოქვეყნებულ თავის ნიგნში გიორგი მელიქიშვილს აღნიშნული გარემოება არ გახსენებია. მხოლოდ მას შემდგომ რედაქტორმა ნოდარ ლომოურმა აღნიშნული გაიგვივება არადაამჯერებლად და ხელმოწერა მიიჩნია (იხ. ავტორის „ეგრეთვე სამეცნიერო ისტორია“, თბილისი, 1968, გვ. 19-21), გიორგი მელიქიშვილი იძულებული გახდა გაეხსენებინა პეტრე უშაკოვის სახელი (სხვათა შორის, გიორგი მელიქიშვილის ამგვარი ქვეყის მოტივი სწორედ ასხა პროფ. ნოდარ ლომოურმა, თავის რეცენზიაში „ნარკვევების“ პირველ ნიგნზე. იხ. „ნაირო“, 1971, №10, გვ. 183). რასაკვირველია, 1989 წელს გამოსული „ნარკვევების“ პირველი ტომის რუსულ ვარიანტში გიორგი მელიქიშვილს პეტრე უშაკოვი აღარ გახსენებია. ასევე მის მიერ დანერგულ სეციალურ სტატიაში „ურარტოლოგია“, რომელიც ქსეს მე-10 ტომში 1986 წელს გამოქვეყნდა, პეტრე უშაკოვის სახელი ერთხელაც კი არ არის მითითებული, თუმცა ავტორს არ დაკინწყია აღნიშნა ამ დარგში აკად. თამაზ გამყრელიძის ღვაწლი, რომელიც,

რამდენადაც ვიცით, ურარტოლოგიაში მხოლოდ ერთი მცირე მოუხლობის სტატიათი ამოიწერება.

ერთი სიტყვით, გიორგი მელიქიშვილმა პეტრე უშაკოვის სსოვნის წინაშე ჩადენილ ძველ ბოროტებას (ნაშრომთა გამოყენება ავტორის მითითების გარეშე) ახალი დაუმატა: შეეცადა ყოველნაირად მიეჩქმალა ტრადიციულად აღსრულებული მეცნიერის დამსახურება ქართულ მეცნიერებაში. იქნებ საქართველოში სხვებმა გამოასწორეს ეს მიუტყვევებელი დანაშაული. სამწუხაროდ, ქართველ ისტორიკოსებს თავი დიდად არ გამოუფიქვიათ. დღემდე ამ მხრივ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას თუ შევხვდებით. მაგალითად, პროფ. ნოდარ ლომოური თავის რეცენზიაში „ნიგნ პრინციპული ხასიათის შეცდომებით“, რომელიც „ნარკვევების“ პირველ ტომს ეხება, სწორად აღნიშნავდა, რომ მთელი რიგი გაიგვივებანი (იდენტიფიკაციები): დიახი-ტახიხები, კოლხა-კოლხები, ვიტურუხი-ბიძერები, იგანი(ხ)-პენიხები, კატარა-კლარჯი „დანერვილებით აქვს გარჩეული ცნობილი ურარტოლოგის კ. უშაკოვის რამდენიმე სეციალურ სტატიაში“ (იხ. გვ. 183). იგანიხისა და პენიხების იდენტიფიკაციაში პეტრე უშაკოვის დამსახურება აღნიშნული აქვს პროფ. თეიმურაზ მიქელაძეს (იხ. ავტორის „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“, თბილისი, 1971, გვ. 18) და ქალბატონ მერი ინაძეს სეციალურ სტატიაში (იხ. ქსე, ტ. II, გვ. 624). პროფესორი თორა შორდანიას 1988 წელს გამოსულ ნაშრომში (რუსულ ენაზე), რომელიც ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიას ეხება, მართალია ორჯერაა მოხსენიებული (გვ. 45, 77) პეტრე უშაკოვი, მაგრამ ნიგნში მისი არცერთი ნაშრომი არაა მითითებული, როცა სხვა შემთხვევებში სტატიათი კი არის დასახელებული.

კიდევ ერთ კონკრეტულ მაგალითზე მოგახსენებთ. 1971 წელს გამოქვეყნდა დახმარებ სახელმძღვანელო „ველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, რომელშიც ცალკე პარაგრაფებია და თბილისში თაბაღბისა და ლიდიის ისტორიისადმი. აქ კონსტუც კი არაა დაძრული პეტრე უშაკოვის შესახებ. იგივეს ვხვდებით ნიგნის მეორე, 1988 წლის გამოცემაში (ამგვარად თაბაღბზე თბილისა აღარაა). ამასვე ვიხსენებთ ქალბატონ ნანა ნაზარაძის 1984 წელს დაბეჭდილ ნაშრომზე თაბაღბის შესახებ.

საერთოდ არ ვიცით თუ რატომ მოხდა ყოველივე ეს: პეტრე უშაკოვის შრომების უცოდინარობით, თუ იმიტომ, რომ პეტრე უშაკოვის სახელისა და გვარის სხვებით არ გააჩინაზანდ გულუ შივცილო, უმეცარი საზოგადოებაში დიდად აღზევებული ბობოლა ისტორიკოსი გიორგი მელიქიშვილი. შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც გამოგვესწორებინა საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეცნიერისადმი გამოჩენილი ასეთი დიდი უზადარობა (რომელიც, საბედნიეროდ, არ ძეგს ქართულ ხასიათში) და პეტრე უშაკოვის დაბადების 110 და გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „თბილისში“ დავუქვეყნეთ სტატია „იყო ასეთი მეცნიერი“ (იხ. 1993 წლის 2 აპრილის ნომერი).

აქ კერძოდ ვწერდით: „მისი (ე. ი. პეტრე უშაკოვის, გ. ყ.) დაკარგული ნაშრომების მოძიებითა და მათ გამოქვეყნებით შესაძლებელი გახდება ამ მეცნიერის წვლილის მკვეთრად წარმოჩენა. ამასთანავე, ჩვენ გვგვძლევდა შანსი იმისა, რომ მოვიწინოთ ჩვენი საზოგადოების, წინა თაობების დაუფერება ტრადიციული ბედის მქონე პეტრე უშაკოვის სხოვნის მიმართ.“ მომდევნო წელს იგივე თემაზე ვწერდით გაზეთ „შვიდ დღეში“. 1993-94 წლებში რამდენჯერმე ვთხოვეთ პროფ. იგორ ბოგო

1. შევინიშნავთ, რომ ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ვ. ვ. შევროვი თავის ნიგნში „ლიდიისკი იაზი“ (8. 1967) დართულ ბობოლაგრაფიაში მიუთითებდა პეტრე უშაკოვის ნაშრომს „ეპიგრაფიკული უამარტული ლიდიი“, რომელიც BDI-ში დაიბეჭდა 1940 წელს (№3-4). ჩვენ ზომ ვიცით რომ ამ თემაზე მას მოზრდილი ნაშრომი ჰქონდა მოზადებული.

გულაბერ კლარჯი სომხეთის "ახალქალაქის" თაობაზე

ქალია იქ, სადა...

წმინდა ნინოს "ცხოვრების" იმ რედაქციაში, რომელიც "ქართლის ცხოვრებაშია" შეტანილი, სომხეთში გამოქვეყნებული ქრისტიანული კალენდრის, რიგობიანთა შესახებ საუბრისას ნათქვამია: "მოვიდეთ ლტოლვილი არცა სომხეთისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვინა ახალქალაქი, უღერეს (ვალარშის - გკ.) შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომხეთისა მეფისა". უთუოდ "ქართლის ცხოვრების" ამ ადგილს ეყრდნობოდა XVIII საუკუნის დიდი ქართველი სწავლული და მოღვაწე, ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც იგივე ამბავს ასე გადმოგვცემს: "მოინიჭეს სომხეთის ახალქალაქს დვინს, საყოფელსა სომხეთისა მეფეთასა". შესაძლოა, ვახუშტი მიერ გამოკვეთილად თქმა იმისა, რომ ეს "ახალქალაქი" სომხეთისაა, არ იყო სომხეთისა და მიზნად ისახავდა სომხეთის "ახალქალაქს" გარჩევას, განსხვავებას საქართველოს ახალქალაქებისგან, კერძოდ, ჯავახეთის ახალქალაქისგან. საქართველოში რამდენიმე ადგილს ერქვა ახალქალაქი, მაგრამ მათ შორის ყველაზე ცნობილი ჯავახეთის ახალქალაქი იყო. ქართული წყაროები თუ რატომ უწოდებენ დვინს "ახალქალაქს", ეს საკითხი საგანგებო კვლევა-ძიებას საჭიროებს. ამჯერად დავკვირვებით იმის აღნიშვნით, რომ ძველად ნორქალაქს, ნორაქალაქს, ანუ შედარებით გვიანდელი გამოთქმით, ნორქალაქს, ნორაქალაქს უწოდებდნენ ევზიანის (ეზნაძის). ნორქალაქს, ნორაქალაქს სომხურად "ახალქალაქს" ნიშნავს. ეს ნორქალაქი, იგივე ვალარშაპატი ანუ ვალარშაპატი, იგივე ევზიანის სომხეთის დედაქალაქი იყო მეორე საუკუნის მეორე ნახევარში.

სომხეთში, კერძოდ, ისტორიულ დასავლეთ სომხეთში, კიდევ ერთი "ახალქალაქი", ნორქალაქი მდებარეობდა. ამის თაობაზე აღნიშნულია "სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის" მეხუთე ტომში. XX ს-ის დასაწყისში ეს ნორქალაქი სინამდვილეში სოფელი ყოფილა. მისი სომხური მოსახლეობის უმრავლესობა ცოცხლად დაუნვათ სოფლის ეკლესიაში 1915 წელს, გენოციდის დროს. ერთი და იგივე შინაარსის მქონე სახელწოდებები საქართველოშიც რომ გვხვდება და სომხეთშიც, ამაში საერთოდ არ არავფიქრია საკუთარი და მით უმეტეს "ახალქალაქთან" დაკავშირებით, რადგან "ახალქალაქს" შესატყვისი სახელები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დასტურდება. მაგალითისთვის გავიხსენოთ "ნოვგოროდი".

გარკვეული მიზეზების გამო სომხური მოსახლეობა უძველესი დროიდანვე მტკნარად ცხოვრობდა საქართველოში. XI საუკუნეში სომხეთში დაცვა სომხური სახელმწიფოებრიობა. იგი მხოლოდ 1918 წელს აღსდგა მკვდრეთით და მას სათავეში დაშინაქები ჩაუდგინა. XI-XX საუკუნეებში საქართველოში სომხეთის შემოხიზნა ჩვეულებრივი ამბავი გახდა. უძველესი თუ გვიანდელი სომხური მატანები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოს დიდი ნაწილი, თურმე, ისტორიული სომხეთის მხარეებს წარმოადგენდა. ამგვარი შეხედ-

ულება შეთვისა და კიდევ უფრო განავითარა, გააღრმავა საქართველოში შემოხიზნულმა სომხურმა მოსახლეობამ. უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო მწერლობა ძველი სომხური მწერლობის წამყვან ჟანრს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, საქართველოში შემოხიზნულ სომხურ მოსახლეობაშიც ძლიერ ვრცელდებოდა სომხური მატანებიდან მომდინარე თქმულებები, თუ მატანებისგან დამოუკიდებლად შექმნილი საისტორიო სიტყვიერების ნიმუშები, სხვადასხვა სახის ლექსები. ვინაიდან "ახალქალაქები", ნორქალაქები სომხეთშიც მდებარეობდა, ერთხანს ევზიანისა და კი ნორაქალაქი ("ახალქალაქი") ერქვა, მოსალოდნელია, რომ საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა საქართველოს ახალქალაქების, კერძოდ, ჯავახეთის ახალქალაქის წარმოქმნაც სომხურ წინადაგზე გაიაზრეს. იქნებ ვახუშტიც იმიტომ ამბობს გამოკვეთილად დვინს შესახებ, ეს სომხეთის "ახალქალაქიაო", რომ ამით აფრთხილებს მკითხველს, მათ შორის საქართველოში შემოხიზნულ სომხურ მოსახლეობას, ერთმანეთში არ აგერიოთ სომხეთისა და საქართველოს "ახალქალაქები".

სამწუხაროდ, სომხებმა მინც "აუროეს" ერთმანეთში სომხეთისა და საქართველოს "ახალქალაქები". დღეს ისინი პრეტენზიას აცხადებენ მთელს ჯავახეთზე და მის ცენტრზე — ახალქალაქზე. სომხეთისა გარკვეული, მრავალრიცხოვანი წრეები "სომხურ მინად" აცხადებენ არა მარტო ჯავახეთის, არამედ სამცხეცხეთის, არადა, საყოველთაოდაა ცნობილი, ქართული და უცხოური მატანები არაერთგვისა გვაუწყებენ, რომ ჯავახეთის ახალქალაქი საუკუნეთა განმავლობაში მრავალჯერ შედებოდა ქართველთა სისხლით უცხოელ დამპყრობთა ურდოების შემოვიდა გამო. ამასთანავე სამცხე-ჯავახეთი, როგორც ცნობილია, ქართული კულტურის მონივრე კერას წარმოადგენდა. ის ხომ შოთა რუსთაველის მშობლიური მხარეა.

სამცხე-ჯავახეთის მიმართ უსამართლობა ჩაიდინა რუსეთის იმპერიამ XIX ს-ის 30-იანი წლებიდან მოყოლებული. ცხადია, დაივიწყეს ერეკლე II-ის ღვაწლი, რომელმაც უზრუნველვდა დამკვიდრარუსეთი ამიერკავკასიაში, ფხვქვეშ გათელეს ერეკლესადმი მიცემული დაპირებებიც საერთოდ დაკვირვდა, მტრის მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთის შესახებაც. რუსეთის არ უნდოდა "ურჩი" ქართველი ერის წიაღში მომხდარიყო სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველების დაბრუნება, მათთვის ქართული ცნობიერების აღდგენა, გაძლიერება. ამიტომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი შეუწყვეს სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველების გადახვეწას თურქეთში, სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებაზე

და და დღეს სომხები ჯავახეთის მოსახლეობის 98%-ს შეადგენენ. ქართველები ან აიძულეს გაქცეულიყვნენ ჯავახეთიდან, ან გაასომხეს. ან განსვენებული ვახტანგ გურგენიძე თავის წიგნში — "გალაქტიონის მესხეთა ჯავახეთში" — აღნიშნავს: "ჩვენს საუკუნეში დაიწყო ქართველთაგან ჯავახეთი, დაიწყო დღევანდელი სოფლები; გასომხდნენ 1829 წლის შემდგომ წლებში არტანუჯის სოფელ ველ-ტიანის მხარის სოფელ ველ-ტიანის გადმოსახლებული კათოლიკე ქართველები ("ფრანგები") ჯავახეთის სოფლებში: ხულგუმოში, კარტიკაში, ბურაში, კულიკაში, ტურცხში (ასლანიშვილები, გახიარაშვილები, ბერუაშვილები...); ისინი ჩვენს თვალში დაარწმუნეს, რომ ქართველი კათოლიკეები კი არა, სომხები არიან... ამ სოფლების ახალგაზრდობის ნაწილი 30-იან წლებში ახალქალაქის ქართულ საშუალო სკოლაში სწავლობდა, ამჟამად კი ყველა სოფელს თავიანთი სომხური სკოლა აქვს. ისინი სწავლას აგრძელებენ სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში... ასე "გაეანბნებინათ" ჩვენი "ინტერნაციონალური" და სტუმართმოყვარე მოქმედებები თ ქართველთა სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი". მე ისიც მითხრეს, რომ დღეს ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს სომხურად ელაპარაკებიან. და შენაკურმა სომხეთმა ჯერ კიდევ 1918 წელს განიზარაბა

ჯავახეთის საქართველოს განსაკუთრებული მოვლევით და სომხეთთან მიერთება. სომხებ კომუნისტებსაც ქართული მიწების მიმართ დაშინაქებუ არანაკლები მადა ჰქონდათ. რაკი ვერ მიაღწიეს ჯავახეთის სომხეთთან შეერთებას, მაშინ გადაწყვიტეს ყოველი ღონით ეცადათ ქართველების სახსენებლის ამოძიკვა ჯავახეთიდან. ამ მხრივ სომხებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ღმერთმა ნუ ქნას და თუ ჯავახეთი საქართველოს განდამოუკიდებლად გამოაცხადებდა, ჩვენს ხელისუფლებას ჯავახეთიდან დაიძვრებოდა და დაიძვრებოდა. საქმე ისაა, რომ იმ ხანებში კათოლიკე ქართველების ეროვნული ცნობიერება ძალიან ამაღლდა, მათ შეძლეს დიდი რაკი შეესრულებინათ საქართველოს, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის კულტურულ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს კი ხელს შეუწყობდა ქართველთა დამაგრებას სამცხე-ჯავახეთში, რაც რუსეთის ხელისუფლებამ თავის ინტერესებთან შეუთავსებლად მიიჩნია. ამგვარი პოლიტიკის შედეგია ის, რომ ქართულ მხარეში, ჯავახეთში 1830 წლიდან მოყოლებული სომხური მოსახლეობა თანდათან მრავლდებოდა (1830-იანი წლების შემდგომაც ჩამოსახლეს სომხები ჯავახეთში) და 1917 წლისათვის სომხები ჯავახეთის მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს შეადგენდნენ. შემდეგ ამას დაემატა საქართველოს კომუნისტური, მარინისტული, გამყიდველი ხელისუფლების ანტიეროვნული საქმიანო-

როგორც უკვე ითქვა, სომხები 1917 წელს შეადგენდნენ ჯავახეთის მოსახლეობის დაახლოებით 70% და არა 98%-ს. ამდენად, იმჟამად ჯავახეთში ქართული მოსახლეობის რაოდენობა ბევრად მეტი იყო დღევანდელთან შედარებით. გარდა ამისა, იმ დროს ქართული მოღვაწეები ახერხებდნენ ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში ჩასვლას, იქ დამკვიდრებას და ჩვენი ქვეყნის, ერის სასიკეთოდ საქმიანობას. დღეს კი ქართველებს ახალქალაქში ჩასვლისა ეშინათ და კიდევ რომ გაბედონ, სომხები არ შეუშვებენ იქ, როგორც ეს ამ ცოტა ხნის წინ მოხდა.

1917 წლის რევოლუციამდე სამცხე-ჯავახეთში პარტია ხანს მოღვაწეობდა "დიდებული მესხეთის" ავტორი, ცნობილი ქართველი მოღვაწე ალექსანდრე ფრონელი (ყფშიძე). ამ მხრივ კიდევ უფრო გამორჩეული იყო ილია ალხაზიშვილის მოღვაწეობა, რომლის დიდახანს ცხოვრობდა ახალქალაქში. როგორც ილია ჭყონია წერდა 1918 წლის 24 თებერვალს გაზეთ "საქართველოში", ი. ალხაზიშვილი იყო "ქართული ურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელი და ჯავახეთში კი — ყოველგვარი ქართული საქმის მეთაური და მოამაგე...". როდესაც 1918 წლის 22 იანვარს ახალქალაქის საზოგადოებრივი საბჭომ კომიტეტმა დაადგინა — "ზვალინდელ დღიდან უკვე აღიარებულია ჯავახეთი ალექსანდროპოლის (ლენინაკანის, გუმბრის, დღეს გუმბრი სომხეთის მეორე ქალაქი ერევნის შემდგომ — გკ.) გუბერნიად და ეს ჩვენი დადგენილება გამოეცხადოს ყველა დაწესებულებასაო" — ი. ალხაზიშვილმა ამის თაობაზე განაცხადა: "ამგვარად ჯავახეთში არაფერი უნდა ჯავახეთს"; "სომხებს არავინ დაუშვია... ერობა მოაწყონ თავიანთი სურვილისამებრ, მაგრამ მინა-წყალს ჯავახელი ვერ დაუთმობს. ვერ დაგითმობს კუმურდოს საკუთარ საგზავროსოვო ტაძარს, საღამოს შვიდ ეკლესიას, თავფარვის ტბას, რომლის ნაპირად მიიწინა წმ. ნინომ მიიღო ვაზის ჯვარი... ჯავახეთის "გამოყოფით" მკვიდრნი, აბორიგენები სომხობის ყმათ უნდა გახდეთ... მე კი ასე მგონია, რომ ჯავახეთის საკითხი საბედისწერო საკითხია..." (გაზ. "საქართველო", 4. II. 1918). რა თქმა უნდა, დღეს ახალქალაქში ალხაზიშვილის მსგავსი ქართველი მოღვაწე არ გვყავს და თუ ვინმე დაჩვენოდა, ის ახლა ამგვარი სიტყვების თქმას განაშლავს, საჯაროდ ვერ გავხადებს. მართალია, ი. ალხაზიშვილიც იძულებული გახდა დაეტოვებინა ახალქალაქი, მაგრამ ეს ქართველი მწვერულები სისუსტის, ეროვნული ცნობიერების უქონლობის შედეგი იყო. ქართველი მწვერულები ხომ ჩვენი ბოლშევიკების, კომუნისტების ბიძაშვილები, მარქსისტები იყვნენ.

ქალია იქ, სადა... მწველი უსაფრთხო იგრძნო თავი იმ ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტიც საიდუმლო ვითარებაში სიცოცხლეს გამოასალმეს. მწველი არ გეშინოდეს იქ, სადაც პრეზიდენტს ლამის ყოველ წელს ტყვესა და ბომბებს აყრიან.

მწველი თავი გადაირჩინა უბედურებისაგან იქ, სადაც ქვეყანას მართავდნენ რეციდისტიები, ქურდები და ყაზალები, ამჟამად კი პალსტუხიანი იგივე კატეგორიის ადამიანები. მწველი ქვეყანა არ დამარცხდეს იქ, სადაც მტერს მტრად არ ნათლავდნ და იარაღის ნაცვლად პურ-მარლითა და პირზე კოცნით ხვდებოდა.

მწველი პრეზიდენტს საკადრო პოლიტიკაში ეჭვი არ შეგუპაროს იქ, სადაც უშიშროების ყოფილი მინისტრი ქვეყნის ამომგებლად არს გამოცხადებული და ქებში იმყოფება.

მწველი კორუფცია დაძლიო იქ, სადაც პრეზიდენტად ყოფილი ცეცხლმდივანია, ხოლო მინისტრებად, გუბერნატორებად და გამგებლებად ყოფილი რაკიომისა და კომკავშირის მდივნები.

მწველი მშვიდად და დემოკრატიულად იცხადოვროს ხალხმა იქ, სადაც უშიშროების ექს-მინისტრს ბრალს სდებენ ექვსი ხელ-ფეხ შეკრული ახალგაზრდის დახრეცაში.

მწველი მშვიდად და დემოკრატიულად ცხოვრობდეს ხალხი იქ, სადაც ერთ-ერთ დიდ სახელმწიფო მოხელეს ბრალს სდებენ პოლიციის თანამშრომლების საკუთარ კაბინეტში ცხვირ-პირის დანაყვამი.

მწველი მშვიდად იგრძნოს ხალხმა იქ, სადაც თავდაცვის მინისტრად წლები მანძილზე პარპაშედა მშობლიური ქვეყნისადმი აშკარად მტრულად განწყობილი ქვეყნის ერთგული და მოყვარული კაცი, რომლის შვილიც იმავე არმიას ემსახურება.

მწველი მშვიდად იგრძნოს ხალხმა თავი იქ, სადაც საგამომძიებლო იზოლაციონებში ადამიანები თავიანთი ნებით აღიარებდნ ალბა-ნებმა-ხანის, კენედის, მარტინ-ლუთერ-კინგისა და ხაბეიშვილის მკვლელობას.

მწველი მშვიდად იგრძნოს ხალხმა თავი იქ, სადაც პოლიცია ქუჩაში დღისით მზისით არც ქალსა და არც მოხუცებულს არ ინდობს და ტყვიის საშიზნედ იხდის.

მწველი შიმშილს გაეძევე იქ, სადაც ქარხანა-ფაბრიკებიდან ბოლი არ ამოდის, ხოლო ხელფასი და პენსია მათხოფრის ულუფასაც არ ჰყოფნის.

მწველი საკუთარი სახლ-კარის დაკარგვის საფრთხის წინაშე არ იდგე იქ, სადაც 300 ათასი კაცი ბედის ანაბარა ღია ცის ქვეშ ლტოლვილად აქციეს.

მწველი ლუკმა გადაგდიოდეს ყელში იქ, სადაც მკირენლოვანი ბავშვები ხელგამოწვდილი უპრის ფულს ცხოვრენ.



სომხები ეროვნულ ტანსაცმელში

ლენინური პრეზის ლაურეატი - პლაგიატორი? ისტორიკოს ვატრა უშაკოვის საიდუმლოება

მე-6 გვერდიდან

მოლოცვ, რომელიც საქართველოში მცხოვრებ რუსთა საზოგადოების თავმჯდომარე გახლავთ, დამბარებულა პეტრე უშაკოვის შესახებ მასალების მოძიებაში. 1993 წელსვე ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო კრებაზე მოვიხივე სპეციალური კომისიის შექმნა და მასში გიორგი მელიქიშვილის მონაწილეობა. მაგრამ ყოველივე ამან შედეგი არ გამოიღო — პეტრე უშაკოვის სახელის გარემო არსებული სამარსებური სიტუაციის დღემდე ვერ დარღვეულა.

დასასრული შევიცდებით უფრო გამოკვეთილად წარმოვიჩინოთ პეტრე უშაკოვის დამსახურება ქართული მეცნიერების (ისტორიოგრაფიის) წინაშე. უპირველესად მან გარკვეული წვლილი შეიტანა ასე ვთქვათ ქართული ურარტოლოგიის განვითარებაში და ამით გააგრძელა ის ტრადიცია, რომელიც ჩვენს სინამდვილეში ჯერ ნიკო მარმა, შემდეგ კი მისაკო ნერეთელმა და ალექსანდრე სვანიძემ დააფუძნეს. მეორე მის დიდ დამსახურებას ის წარმოადგენს, რომ სამხრეთ ამიერკავკასიის, კერძოდ სამხრეთ საქართველოს შესახებ ურარტულ წყაროებს პირველად მან მოუყარა თავი და ამ საფუძველზე რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია გამოაქვეყნა. შევნიშნავთ რომ ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ნიგნის მესამე გამოცემაში (1928 წელს) წერდა: „რა დამოკიდებულება არსებობდა ურარტულ-ხალდეების სამეფოსა და ქართულთა შორის, ჯერ არა ჩანს.“ იგივეა გამოკვლეული ნიგნის 1960 წლის მეხუთე გამოცემაში. რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილს რომ დასცლოდა ნიგნის ეს გამოცემა, იგი უთუოდ გაითვალისწინებდა ამ გარემოებას. რა თქმა უნდა, პეტრე უშაკოვი ცდებოდა როცა კოლხებს კასკებს უკავშირებდა. მაგრამ მისთვის უეჭველი გახლდათ თუ სად, რომელ მხარეზე იყო სიმართლე ივანე ჯავახიშვილსა და ნიკოლოზ ტრუბეტკოვის შორის. იგი წერდა: „Заслуга окончательного обоснования родственных связей грузинского языка с прочими кавказскими принадлежит акад. И. А. Джавахишвили.“

ქართული ისტორიოგრაფიაში იგი პირველი იყო, რომელმაც გააცნობიერა რომ თბალები ინდოევრო-

პული წარმოშობის ხალხი იყო და ამის მტკიცებისას არ მორიდებია შევკამათებოდა თვითონ ივანე ჯავახიშვილსაც კი. იგი წერდა: „მტკიცდება ის აზრი, რომ იეროგლიფური წარწერების ხეობები იყვნენ სწორედ თბალები (ბიბლიის ტუბალები), რასაც 1932 წლიდან ადასტურებს ემილ ფორერიც“. აქედან გამომდინარე, პეტრე უშაკოვი დაასკვნა: „უნდა გადავზივარდოთ იქნეს ძველი მოსაზრება ტუბალები-ტიბარელების და სხვა რომლის შესახებ კავკასიის ეთნოგრაფიულმა მემკვიდრეობამ რამდენად ტაბალები ენა, რამდენად იგი ცნობილი ხდება იეროგლიფური ტექსტის წაკითხვიდან, თავისი ტაბით დაშორებული კავკასიის იაფეტური ენების დამახასიათებელ თვისებებიდან და იგი მტკიც უახლოვდება „ინდო-ევროპული“ ენების სისტემას, შეადგენს მათ პროტოტყვას და, როგორც ირკვევა, გენტიურადაც წარმოადგენს მათი განვითარების პირველ საფეხს.“ ამის აღიარებისას, როგორც უკვე ვამბობდით, იგი არ მორიდებია ივანე ჯავახიშვილის დიდი ავტორიტეტის კრიტიკას: „თუმცა თავის ნიგნში „ქართველი ერის ისტორია“ (ნაწ. I) პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი საქართველოს ხალხთა რიცხვს აკუთვნებს თბალებსა (ტუბალები), რომელთაც ქსენოფონტეს ტიბარელებს უკავშირებს, მაგრამ ამჟამად ეს დაახლოება გვერდზე უნდა გადავდოთ, რადგანაც დასაბუთდება, რომ თბალები ეკუთვნის ხეობის ტომთა რიცხვს და ენის მიხედვით უახლოვდება ინდო-ევროპულს, ან პროტოინდო-ევროპულს ჯგუფს.“ (სხვა ადგილს იგი წერდა: „Прочтение хеттских иероглифических надписей, осуществленное Э. Форрером, П. Мериджи, В. Грозным и И. Гельбом, проливает свет на табалов: Эмил Форрер отождествляет их с хеттами Северной Сирии и табальский язык, по его мнению, представлен в индоевропейском языке хеттских иероглифических надписей.“

აღნიშნული დებულება ძალზე გვეხმაურება ქართულთა ეთნოგენეზის კვლევა-ძიების საკითხში. შეგახსენებთ იმასაც, რომ გამოკვეთილად იგი (ეს აზრი) ქართული ისტორიოგრაფიაში მხოლოდ 1984 წელს იქნა ნაჩვენები (პროფ. ნანა ხაზარაძის მიერ).

დიახსის პოლიტიკურ გაერთიანებას პეტრე უშაკოვი ქართული სამყაროს ნაწილად თვლიდა

(კერძოდ მეფე უცუფურის სახელის ეტიმოლოგიას იაზრებდა ქართული ენის საფუძველზე — „შავი კრანა“).

გიორგი მელიქიშვილის მტკიცებით კი დიახსი სურთულ გაერთიანებას წარმოადგენდა, თუმცა ილუზიას გვიქმნის თითქოს იგი მის ქართველურ ხასიათს ამტკიცებდეს. თუ ვინაა მართალი, ამას მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს. მდინარე ქოროხის ერთ-ერთი ძველი სახელწოდების — „არასოსის“ ეტიმოლოგიას იგი ქართველური ენების (კერძოდ ქართულის) ბაზაზე ხსნიდა („ხარის მდინარე“) და ამდენად მდინარის ბერძნულ სახელს — βιάδ-ს უკავშირებდა βιάδ-ს (ხარს) და არა სიტყვა βιάα (ვევირი).

